გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N19 (9235) 11 ივლისი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

## გაარკვია, ვინ იქნება სახელმძღვანელოს სათავეში

**2**

№54
საოლქო
საარჩევნო
კომისია




**4**

№28
დადგენილებაში
ცვლილებების
შეტანას
საკრებულომ
მხარი
დაუჭირა

**2**

## მედიკამენტები უფასოდ ჯანდაცვის პროგრამით



**3**

## [illegible] სიმსივნის დასამარცხებლად



## ოქროს და ვერცხლის მედალოსნები დააჯილდოვეს



**6**

არაა
ადვილი,
ეშმაკს
გაუძლო

# ექვთიმეს ლაშქარი სამტრედიიდან

# №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანას საკრებულომ მხარი დაუჭირა

ხმაური იყო 30 ივნისს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე. ოპოზიციამ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის ნომერ 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანას მხარი არ დაუჭირა.

მამუკა ბიბილეიშვილის კენჭისყრამდე გაკეთებულ შენიშვნას უმრავლესობის მხრიდან რეაქციები მოჰყვა. ფრაქცია "ნაციონალურმა მოძრაობამ" ბიუჯეტში ცვლილება გააპროტესტა. კერძოდ, მთავრობის №480 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან 164 486 ლარის გამოყოფა, რომელიც საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექზედამხედველობისკენ არის მიმართული მუშაობის მთლიანი ღირებულების 5,5%-ს შეადგენს. მამუკა ბიბილეიშვილი წინა წლებს იხსენებს, როცა აღნიშნული ზედამხედველობა გამგეობაში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ ხორციელდებოდა, მოწვეული სპეციალისტების შემთხვევაში კი ღირებულება 1,5%-ს არ აღემატებოდა.

"ნაციონალების" 9 წლიანი მმართველობის პერიოდში საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, ყოფილი გამგებელი, ამჟამად "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, კონკრეტულ საკითხს პოლიტიკური ჭრილით განიხილავს. ემზარ შუბლაძე დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ზედამხედველობის ხარჯი ადგილობრივ ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვება.

უმრავლესობის წარმომადგენელმა, ბადრი შენგელიამ ოპოზიციას იმ დღევანდელი გაცხარება ტელეკომპანია "ზარის" კამერის წინ კეკლუცობად შეუფასა.

"ნაციონალების" შენიშვნები "ქართული ოცნების" დეპუტატებისთვის არც 30 ივნისის რიგგარეშე სხდომაზე იქნა მისაღები და გასათვალისწინებელი. უფრო მეტიც, საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლებმა მთავარ ოპოზიციურ პარტიას უკვე მერამდენედ ავადსახსენებელი მმართველობის პერიოდი შეახსენა. ოპოზიციასთან ცხარე დაპირისპირების მიუხედავად, საფინანსო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, შალვა არზუმანიანის მიერ გამოტანილ საკითხს "სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის № 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანას საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მხარი მაინც დაუჭირა.

**ნინო ნანიტაშვილი**



# №54 საოლქო საარჩევნო კომისია

ცესკო იწყებს პროექტს – "საარჩევნო განვითარების სკოლა" – მიმდინარე წლის 17 ივლისიდან 28 ივლისის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა (სასწავლო კურსი ათდღიანია). განცხადებებს იღებს ყველა საოლქო საარჩევნო კომისია, მიუხედავად იმისა, იმართება თუ არა სწავლება მისი ოლქის ტერიტორიაზე.

საარჩევნო განვითარების სკოლები 23 საარჩევნო ოლქში: გურჯაანში, სიღნაღში, თელავში, ახმეტაში, რუსთავში, გარდაბანში, მარნეულში, დუშეთში, ახალგორში, გორში, ბორჯომში, ახალციხეში, ამბროლაურში, საჩხერეში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ქუთაისში, ოზურგეთში, სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმსა და ქობულეთში გაიხსნება. ტრენინგებს გაუძღვებიან საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები.

18-დან 24 წლის ასაკის ახალგაზრდებს შეუძლიათ გაიარონ სასწვლო კურსი და მიიღონ საჭირო ცოდნა საარჩევნო თემებზე.

საბუთების მიღება წარმოებს 5-დან 12 ივლისის ჩათვლით. კონკურსანტი უნდა ფლობდეს ქართულ ენას და კურსის გავლისათვის უნდა წარადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, აპლიკაციის შევსება შესაძლებელია ადგილზე, ნებისმიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა არ უნდა იყოს 15-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 25-ს.

სწავლება გაიმართება 12.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.

**კონკურსანტს შეუძლია რეგისტრაციისთვის მიმართოს №54 საოლქო საარჩევნო კომისიას მისამართზე: რაზმაძის ქ. №2.**




# განცხადება

მიმდინარე წლის 21 ივლისს დღის 2 საათზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოწვეულია საზოგადოება "სამტრედიელის" დარბაზის რიგგარეშე სხდომა.

**თეიმურაზ ტორონჯაძე, მოგელი კუპრეიშვილი, ნუგზარ ხაჟალია, თამაზ ხუჭუა, კობა მანჯგალაძე**

# მოდი, ვნახოთ ჩოხა!

## ღია წერილი მალხაზ იანტბელიძეს

ეს წერილი გაცილებით ადრე უნდა დაბეჭდილიყო, მაშინვე, როცა მოხდა ის, რაც მოხდა! ავტორის პირადმა პრობლემამ შეუშალა ხელი. მართალი გითხრათ, აღშფოთების რამდენადმე გავლის შემდეგ, ადამიანური ურთიერთობებიდან, ოჯახთან, ახლობლებთან დამოკიდებულებიდან, პატარა ქალაქის ფაქტორიდან და ამ ყველაფრის თანმდევი უხერხულობიდან გამომდინარე, საჯარო პასუხის აუცილებლობაზე დავფიქრდი კიდეც. მაგრამ შეურაცხყოფას თავი დავანებოთ, მკვდარი დედის შეგინება ძნელად ასატანზე უფრო აუტანელი ყოფილა. მით უმეტეს, როცა დედის გინებას ნაჩვევი არ ხარ და შემგინებელიც ისეთი ვინმეა, ვერ იტყვი, "გიჟი თავისუფალიაო". გარდა ამისა, ვერც ჟურნალისტობაში "ჩამეთვლებოდა" იმის "გადაყლაპვა", რაც არ მჩვევია როგორც ჟურნალისტს!

ამ პატარა ქალაქში დამალული ისიც არ არის, რაც ჯერ არ მომხდარა და საკუთარ თავთან ჩაიფიქრა ვინმემ, მით უმეტეს, ის, რაც მოხდა და ხმაურიც მოჰყვა. რა თქმა უნდა, არ და ვერ დაიმალებოდა "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში ცოტა ხნის წინანდელი ინციდენტი ერთ ჩოხოსანსა და ჟურნალსიტებს შორის, რომლის "შემოქმედიც" სამტრედიაში ჯერ ისევ ახლახანს ჩამოყალიბებული "ჩოხოსანთა დასის" ხელმძღვანელი გახლავთ.

ბატონ მალხაზ იანტბელიძეს კარგად იცნობენ სამტრედიელები. იცოდნენ მისი პოლიტიკური მისწრაფებებიც. იცოდნენ, რადგან როგორც თავად ამბობს, ამ ეტაპზე ორგანიზაცია, სამტრედიაში რომ დააფუძნა, სრულიად აპოლიტიკურია. წინასწარვე ვუცხადებ სრულ სოლიდარობას და გამოვხატავ უდიდეს პატივისცემას ჩოხოსანთა ორგანიზაციის მისამართით, მეტიც, მისი წევრობის სურვილი დიდი ხანია მაქვს. თუმცა, ვთვლი, რომ ყველა მის წევრს გათავისებული უნდა ჰქონდეს ღირსება, "ჩოხოსნობას" რომ სჭირდება. ვეჭვობ, ამის შემდეგ აქ დამთავრდება ჩემთვის ჩოხის ჩაცმის პერსპექტივა.

ამჯერადაც გამართლდა ის ანდაზა, ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს რომ მოჰკვეთა კბილები. თუმცა, ამ შემთხვევაში ბაბუაცა და შვილიშვილიც თავად ბატონი მალხაზი აღმოჩნდა. რედაქციაში უკვე მეგობრის იმიჯით საქმიანი ურთიერთობებისთვის შემოსულს, ადგილობრივი ხელისუფლების მაღალ ეშელონში ყოფნისას რაიონში ერთადერთი, მკითხველისა და საზოგადოების დიდი მხარდაჭერის მქონე გაზეთისადმი "ნაციონალური" დამოკიდებულება შევახსენე. გარწმუნებთ, ღიმილით, ხუმრობის



ტონით და წინასწარი შესავლით, რომ არ სწყენოდა. სხვაგვარად, უბრალოდ, არ შემეძლო, რადგან, როგორც ერთს, ისე ყველას, კოლექტივის მაშინდელი შემადგენლობიდან, არათუ პიროვნული, იმ დროისთვის 75 წლის პერიოდულ გამოცემასთან "ნაციონალური დემოკრატიის" დამოკიდებულება კარგად ახსოვს. მკითხველსა და საზოგადოებას მაშინდელ ადგილობრივ ხელისუფლებასთან გადატანილი ჟურნალისტური ომიც ემახსოვრება, რადგან რაიონის ინტელექტუალური ნაწილი ამ ომში "სამტრედიის მაცნეს" გვერდით იდგა. და ის საყვედურიც ხუმრობის ტონით, იმთავითვე არა მხოლოდ ბატონ მალხაზს, არამედ მისი მაშინდელი თანამოაზრეების გუნდს ეხებოდა. თუმცა, იმ გუნდურობით თავის დროზე ამაყ ბატონ მალხაზს, ამჯერად არ ეამა გუნდურობის მაშინდელი პრინციპი. ერთი სიტყვით, ხუმრობით დაწყებული დიალოგი მის მიერ ჩემთვის დედის გინებამდე მივიდა.

მართალი გითხრათ, რედაქციაში არც იმათ აუმაღლებიათ ხმა, ვისაც ეს ჩემზე მეტად ხელეწიფებოდა, თუნდაც თანამდებობრივი გადმოსახედიდან. რას იზამთ, ხდება ხოლმე... ფაქტმა შიგა აღშფოთებას თანდართული ღიმილით ჩაიარა. ამ სიტყვებში ბატონი მალხაზის ორნაწილიანი განრისხების ორივე ნაწილი იგულისხმება.

მე მხოლოდ პირველზე, გინების ეპიზოდზე შეხების უფლება მაქვს. ხმაური ხმაურს გააჩნია და ვისთვის უსამართლობისა და ვისთვის სამართლიანობისთვის ხმაურს მიჩვეულ რედაქციაში, ყოფილმა ჩინოვნიკმა და ახლანდელმა "ჩოხოსანმა" უკადრებელი იკადრა.

ერთი სიტყვით, ჩოხოსანო მალხაზ, "მოდი ვნახოთ ჩოხა..." "მიველ, ვნახე ჩოხა" უფრო სწორად, თქვენი ჩოხა და ... ვერ ჩავწვდი თქვენი თავგანწირვის არსს, უკეთ რომ ვთქვათ, რასაც ჩავწვდი, იმედი გამიცრუა. როგორც ჩვენივე გაზეთის ახლახან გამოსულ ნომერში წერთ, ჩოხა იმიტომ ჩაიცვით, გინდათ უკეთესი გახდეთ. ისევ ვერ გასცდენიხართ ბატონო მალხაზ ერთ დროს ახდენილი და მალევე დაკარგული პოლიტიკური მისწრაფებების კვლავ ახდენის დაუოკებელ სურვილს. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ეროვნულ სიმდიდრეს, მისი თვითმყოფადობის ერთ-ერთ სიმბოლოს, ხალხური ლექსივით რომ გავრითმოთ, ნუ "შეაჭმევინებთ ჟანგს". არადა, სანამ თხა ვენახს სრულად გააპარტახებდეს, "ჩოხოსანთა დასი" ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისთვის მებრძოლთა დასად მიმაჩნდა და მიმაჩნია. ჰოდა... მიწამ თქვენი და ჩვენი მტერი შეჭამოს, ჩოხის ჩაცმით უკეთესი ვერ გამხდარხართ, ბატონო მალხაზ!

ყოველთვის უდანაშაულოდ ვთვლიდი ნოდარ დუმბაძის პერსონაჟს, ხულიგნობისთვის დაკავებულ ჭიჭიკო გოგოლს, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცემისთვის რომ აღმოჩნდა ციხეში პატიოსანი კაცი. ხშირად ხდებოდა და ხდება ასე გუშინდელ თუ დღევანდელ გაგანია დემოკრატიაში. თუმცა, საბედნიეროდ, ჯერ საკანში ამ ვმჯდარვარ არც ძია ისიდორეს, არც ზაზა ნაკაშიძის და არც ჭიჭიკო გოგოლის მსგავსად. ჰოდა, მისი არ იყოს, ესეც შენ, ჩემგან, და ესეც შენ, იმ პარტიის სახელით, პურის წიგნაკად რომ გაიხადე! – ესეც თქვენ ჩემგან, ჩემი, ჩემი ახლადგარდაცვლილი დედის და ჩოხის, იმ ჩოხის სახელით, თქვენი ინტერესისამებრ გამოყენებას რომ ცდილობთ! "აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს" ჩემი საყვარელი ფრაზაა და 42 წელია ვუძლებ ამ გამოცდას!

**თეა ბაბუნაშვილი**

# მედიკამენტები უფასოდ ჯანდაცვის პროგრამით



**თეა ბაბუნაშვილი**

***ჯანდაცვის პროგრამაში კიდევ ერთი სიახლე, 1 ივლისიდან რომ უკვე შევიდა ძალაში, მედიკამენტების უფასოდ გაცემაა. საქართველოს მთავრობის 209-ე დადგენილებით, ფინანსთა სამინისტროს დაევალა "საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით სამინისტროსთვის დამტკიცებულ პროგრამულ კლასიფიკაციას დაამატოს პროგრამული კოდი _ "ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა" და განახორციელოს ცვლილებები კვარტალურ განწერაში."***

***ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, მკურნალობისთვის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით შეიმუშავა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ.***

პროგრამით ისარგებლებენ ის პირები, რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არიან რეგისტრირებული და მათზე მინიჭებული ქულათა რაოდენობა 100 ათასს არ აღემეტება. გარდა ამისა, მარტოხელა პენსიონერები, რომლებიც იმ ქრონიკული დაავადებებით არიან დაავადებული, რომელსაც პროგრამა ითვალისწინებს. მედიკამენტები გაიცემა სახელმწიფო დახმარების სახით.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა, მეორე ტიპის დიაბეტის, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო მედიკამენტების სიმბოლურ ფასად, 1 ლარად მიწოდებას. მოსარგებლემ ერთდროულად შეიძლება სამი თვის მარაგი გაიტანოს აფთიაქიდან. დაუშვებელია ერთ ჯერზე მეტი ფარმაცევტული პროდუქტის გატანა. ბენეფიციარი ღირებულების 10% იხდის, თუმცა ეს თანხა 1 ლარს არ უნდა აღემატებოდეს და 0,5 თეთრზე ნაკლები ვერ იქნება.

ამ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით 600 000 მოქალაქე პროგრამის ბენეფიციარი. სახელმწიფომ მის დასაფინანსებლად 5 მილიონი ლარი გამოყო. ნიშნულად აღებულია ის დაავადებები, რომლებიც სტატისტიკის მიხედვით ყველაზე მეტად არის გავრცელებული. "სტატისტიკის მიხედვით დაავადებათა მთლიან სტრუქტურაში ამ სახის დაავადებებს უჭირავთ 60-70% და ცხადია, მათთვის სამკურნალო პრეპარატებზე ხელმისაწვდომობა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მთავარი პრიორიტეტია." _ ამბობს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე. თავად მინისტრი დავით სერგეენკო კი აცხადებს, რომ "ჯერჯერობით საუბარია 30 სახის მედიკამენტზე. თუ ყოველთვიურად საჭირო წამლების შესაძენად 20-30 ლარი იყო საკმარისი მარტოხელა პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველთათვის, ამიერიდან ისინი ამაში, მაქსიმუმ, 1 ლარს გადაიხდიან. და ეს არ არის ერთჯერადი აქცია, ეს სახელმწიფო პროგრამა გახლავთ, რომელიც წლების განმავლობაში გაგრძელდება." იგი მედიკამენტების მაღალ ხარისხსაც უსვამს ხაზს და აზუსტებს, რომ საფუძველი არ აქვს მოსაზრებას, მათი უხარისხობის თაობაზე. ამისთვის მას ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებთან სპეციალური შეხვედრაც ჰქონდა. "სახელმწიფო აცხადებს სახელმწიფო შესყიდვას, აწესებს ხარისხის ყველაზე მაღალ სტანდარტს, რაც არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული ლაბორატორიის ხარისხის კონტროლის სერტიფიკატი ამა თუ იმ მედიკამენტისთვის. არა მხოლოდ ამ, წამლის ხარისხი ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ხარისხიან ჯანდაცვაში."

აღნიშნული პროგრამით სარგებლობისთვის, პოლიკლინიკებში ოჯახის ექიმის მიერ გაცემული ფორმა 100-ის საფუძველზე, ბენეფიციარები უნდა დარეგისტრირდნენ სოციალური მომსახურების სააგენტოში. ამის შემდეგ მხოლოდ PSP-ს ქსელის აფთიაქებიდან მოხდება წამლის გაცემა.

როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის ფილიალის უფროსი სოციალური აგენტი ინგა ხოშტარია, რომელსაც ამ ეტაპზე დაეკისრა ბენეფიციართა რეგისტრაცია, აცხადებს: "ჯერჯერობით მხოლოდ 4 პაციენტია დარეგისტრირებული. მოგეხსენებათ, პროგრამა 1 ივლისიდან ამოქმედდა და ჯერ სათანადოდ ინფორმირებულებიც არ არიან მისით მოსარგებლე პირები. თანდათან მოხდება სოფლებში ოჯახის ექიმების მიერ მოსახლეობის ინფორმირებულობა, ქალაქში ეს უკეთესად ხდება და ალბათ, მომართვიანობაც გაიზრდება."

სამტრედიაში წამლები მხოლოდ რესპუბლიკის №2-ში მდებარე PSP-ს აფთიაქიდან გაიცემა, სადაც აცხადებენ, რომ ამ ეტაპისთვის პროგრამით მოსარგებლე მხოლოდ სამმა ადამიანმა მიმართათ.

# უფასო კვლევა სიმსივნის დიაგნოსტიკისთვის

**თეა ბაბუნაშვილი**

***ონკოლოგიურ დაავადებათა უფასო სკრინინგ-გამოკვლევა უკვე 10 წელია, საქართველოში აქციების სერიით მიმდინარეობს. მისი პერიოდულობა სულ უფრო მოკლე დროში მეორდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. წელს პირველად, საქართველოს მასშტაბით, გარდა თბილისისა, პროექტს კლინიკების ქსელი "ევექსი" კურირებს. გარდა თბილისისა იმიტომ, რომ თბილისში მისი განხორციელება ქალაქის მერიამ აიღო საკუთარ თავზე. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მასში უფასოდ ჩართვა.***

პროექტი 40-70 წლის ქალბატონებისთვის ძუძუს, 25-60 წლის ასაკისთვის კი საშვილოსნოს ყელის კიბოზე, 50-70 წლის მამაკაცებისთვის პროსტატის სიმსივნეზე კვლევებს ითვალისწინებს. აგრეთვე, 50-70 წლის ჩათვლით, ორივე სქესის პირები ნაწლავის სიმსივნურ დაავადებებს გამოიკვლევენ. მიმართულებებს საქართველოს ონკოლოგიური ცენტრი იძლევა, იმერეთში კი, ძირითადი კვლევები იმერეთის ონკოლოგიურ ცენტრში მიმდინარეობს.

პროექტის კოორდინატორი იმერეთში, თეა ჩინჩალაძე საუბრობს იმაზე, რომ: "სამტრედიის მუნიციპალიტეტში რამდენიმე სოფელს, იანეთს, ტოლებს, ეწერს მოვიცავთ. უკვე ჩატარდა კვლევები კულაშში, ამჯერად ღანირში ვართ, სადაც ცოტა არ იყოს, პასიურობს მოსახლეობა. იმედია, მალე გააქტიურდებიან, ვიცით, რომ გაფრთხილებულები იყვნენ ამ შემოწმების თაობაზე."



გარდა უშუალოდ ადგილზე შემოწმებისა, თუნდაც, 20 ქალბატონის სურვილის შემთხვევაში, "ევექსის" კლინიკების ქსელი თავის თავზე იღებს მგზავრობის ხარჯებს ქუთაისში კვლევის უფასოდ ჩასატარებლად. ბაშიდან, მელაურიდან და იანეთიდან ასეთი ჯგუფი რამდენიმე დღეში გაივლის საჭირო პროცედურებს ქუთაისის ონკოლოგიურ ცენტრში.

ღანირის ამბულატორიის ხელმძღვანელი, ოჯახის ექიმი სოსო გვალია, მოსახლეობის პასიურობას შიშის ფაქტორით ხსნის: "იმ ასაკის ადამიანები არიან პროგრამაში ჩართულები, ეშინიათ, რამე ცუდი არ გვითხრანო. საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის კულტურა თავად უნდა ავამაღლოთ საკუთარ თავში. 21-ე საუკუნეში დროული აღმოჩენის და პრევენციის შემთხვევაში სიმსივნე განკურნებადია. უფასო სკრინინგი კი ამის უპირველესი საშუალებაა."

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია ღანირის ამბულატორიულ ცენტრში თავად ჩავიდა პროექტის მიმდინარეობის სანახავად. როგორც მან აღნიშნა: "დაპირებულ თვალის დაავადებათა სკრინინგს სიმსივნურ დაავადებათა კვლევის შესაძლებლობაც მოვაყოლეთ. უფასო სამედიცინო გამოკვლევები სახელმწიფოს დაფინანსებით სამომავლოდაც გაგრძელდება. ჩვენი, ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესშიც არის ამგვარი კვლევები სულ უფრო მეტი ინტენსივობით ჩატარდეს მუნიციპალიტეტში."

ღანირის ამბულატორიასთან შეკრებილი მოსახლეობა საჭიროდ მიიჩნევდა ამგვარ აქციას და აცხადებდა, რომ სოციალური ფონის გათვალისწინებით, განსაკუთრებით სოფლებში, აუცილებელიცაა მათი მეტი ინტენსივობით ჩატარება.



# ქალები სამართლიანობისთვის

ტრენინგები ჩატარდა ამ დღეებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, რომლის ორგანიზატორიც გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალები სამართლიანობისათვის".

პროექტი ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ ფინანსდება და ემსახურება თემში მცხოვრები ქალბატონების გაძლიერებას, მათ აქტიურ ჩართვას საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ორგანიზაციის დირექტორია ნათია ქევხიშვილი, მოადგილე ნატო სოფრომაძე.

"ლიდერი და ეფექტური კომუნიკაცია" _ ასეთი გახლდათ შეხვედრის პირველი დღის საუბრის თემა, ტრენერი გიორგი ჭილაშვილი.

"დროული, საინტერესოა ტრენინგი, ძალიან კმაყოფილი ვარ, _ გვეუბნება ნინო ლიპარტელიანი, პედაგოგი, რომელიც ვანიდანაა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარი სპეციალისტის, თამილა კეკელიძის განცხადებით, ეს ტრენინგი მისთვის განსაკუთრებულად საინტერესოა, რამეთუ იგი გენდერულ საკითხებზე მუშაობს, მივესალმებით, უფრო ხშირად თუ ჩატარდება მსგავსი აქტივობებიო, _ გვითხრა მან.

"სამტრედიის მაცნესთან" კმაყოფილება ნათია ბიბილეიშვილმაც დააფიქსირა.

დაბოლოს, დღეს, როცა ქალთა უფლებებზე ბევრს საუბრობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში, მსგავსი ტრენინგების ჩატარება უდავოდ კეთილ გავლენას მოახდენს და სასურველი მიზანიც მიღწეული იქნება.

**ლევან გაბეჩავა**

# გაარჩნია, ვინ იქნება სახელმწიფოს სათავეში

ქეთევან ჭელიძე

**ჩვენი ქვეყანა კონსტიტუციის კიდევ ერთი ვარიანტის მიღების მოლოდინშია, უფრო ზუსტად, წინ ოქტომბრის საპარლამენტო სესიაა, რომელზეც საბოლოოდ უყრიან კენჭს ახალ კონსტიტუციას. პირველი და მეორე მოსმენა უკვე გაიარა და საყოველთაო მსჯელობის საგნად იქცა.**

**"ქართული ოცნება" რეგიონებში გავიდა და ხალხის აზრი მოისმინა. ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარის, მამუკა მდინარაძის განმარტებით, საკონსტიტუციო კომისიამ ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების წინადადებათა 70 პროცენტი გაითვალისწინა. "წინასწარ განსაზღვრული გადაწყვეტილებებით არ შევალთ განხილვის პროცესში, კარი უნდა გავხსნათ ყველა ტიპის დისკუსიისთვის". _ განაცხადა პარლმანეტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემაც.**

**მიუხედავად კონსტიტუციონალისტების განმარტებისა, რომ კონსტიტუციის პროექტი სუბიექტურ ინტერესებზე არ არის მორგებული, შესაბამისობაშია სამართლებრივ პრინციპებთან და აყალიბებს დახვეწილ საპარლამენტო მმართველობას, პრეზიდენტი, არასამთავრობო სექტორი და ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრიც უნდობლობას უცხადებს მას.**

**ის, რომ კონსტიტუციაში ჩაიწერა, ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთიანობაა, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწები უცხოელებზე არ გაიყიდება, მაჟორიტარული სისტემაა უპრიანი ქვეყნისთვის, თუ პროპორციული, პრეზიდენტის არჩევის წესი, გადაუნაწილებელი ხმების და მანდატების მიკუთვნება, საარჩევნო ბარიერის 3 პროცენტამდე დაყვანა, ის საკითხებია, რომელიც სხვა ცვლილებებთან ერთად განსაკუთრებულად განიხილება.**

**2020 წლისთვის დაგეგმილი ცვლილებების 2024 წელს გადატანა ოპოზიციურმა ძალებმა "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ხანგრძლივად დარჩენის მცდელობად აღიქვა. ვენეციის კომისიის თავმჯდომარე ჯანი ბუკიკიოც ჩამოვიდა საქართველოში და ამასთან დაკავშირებით განმარტებები მოითხოვა.**

**ოპოზიციურმა პარტიებმა "კომპრომისული პროექტის" მისაღებად დიალოგის გამართვა შესთავაზეს ხელისუფლებას. დიალოგისთვის მზადყოფნა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმაც გამოთქვა. კონსესუსი ის გამოსავალია, ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებამდე რომ მიიყვანს პოლიტიკურ ძალებს. თუმცა, ამის ნება ჯერჯერობით არ ჩანს. იქნება თუ არა ეს კონსტიტუცია ქვეყნისთვის ზიანის მომტანი, ან პირიქით, რა სარგებელს მისცემს მას, ამას ყველაზე უკეთ დრო დაგვანახებს.**

**რას ფიქრობენ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით სამტრედიაში, ამ მიზნით "სამტრედიის მაცნემ" პოზიციასაც და ოპოზიციასაც მოუსმინა და მკითხველს მათი მოსაზრებები შესთავაზა.**

---

***გრიგოლ მიქელაძე — სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში:***

კონსტიტუცია, რომელიც ახლა უნდა მივიღოთ, სიკეთისკენ მიმავალი გზაა. მასზე იმუშავა ძალიან სერიოზულმა კონსტიტუციონალისტებმა. ოპოზიციური ძალები, რომლებიც მას აკრიტიკებენ, სატელიტური პარტიები არიან. ამბობენ, რომ მთავრობას მაჟორიტარული სისტემით უნდა გადაირჩინოს თავი. თვითონ რატომ არ ჰყავთ ისეთი პიროვნებები, ვინც გაამარჯვებინებთ?

თუ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, რატომ ვუსპობთ პიროვნებას იმის უფლებას, თავისი კანდიდატურა დააყენოს დამოუკიდებლად. იმეორებენ, მაჟორიტარებს არ ეკითხებათ არც გზა, არც შუქი და ა. შ. იქნებ, დამისახელოთ რომელიმე განვითარებული სახელმწიფოს პარტია ან მაჟორიტარი, თუ მის პროგრამაში არ არის და ხალხს არ ჰპირდება: შეგიმცირებთ გადასახადებს, გაგიკეთებთ გზებს, უზრუნველგყოფთ სოციალურად. პარტია რა არის? ის არსებობს, რათა ადამიანების მდგომარეობა გაუმჯობესდეს, ცხოვრების დონე აიწიოს, დემოკრატია კიდევ უნდა განვითარდეს და სახელმწიფო გაძლიერდეს.

"ქართული ოცნება" დღეს ხელს უწყობს ბიზნესმენებს, ფერმერებს, კრიზისის ფონზე ნელა, მაგრამ ცდილობს მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩემი აზრით, მაჟორიტარული სისტემა უნდა დარჩეს. თუ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში 435 კონგრესმენი მაჟორიტარია და 100 დეპუტატი პროპორციული წესით არჩეული, საფრანგეთი მთლიანად მაჟორიტარებითაა დაკომპლექტებული, ასევე გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ჩვენ რატომ ვიღებთ საბერძნეთის მაგალითს, რომელმაც გაძარცვა თავისი სახელმწიფო. ჩვენი გზა არის დასავლეთისკენ, მაგრამ რატომ არ უნდა შევქმნათ ჩვენი ქვეყნის განვითარების ეროვნული, ქართული მოდელი, სულ ამას ვიძახი, რატომ გვინდა ახალი ველოსიპედის გამოგონება ასეთი მაგალითების ფონზე.

. კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლითაც უცხოელებს სასოფლო-სამეურნეო მიწების ყიდვა ეკრძალებათ საქართველოში. ასეც უნდა იყოს. ჩვენი მამა-პაპები საუკუნეების მანძილზე ხმლით ხელში იბძოდნენ ჩვენი მიწების გადასარჩენად. ოპოზიცია ამბობს, რომ წამალი თუ დასჭირდა ადამიანს, მის შესაძენად რატომ არ უნდა გაყიდოს თავისი მიწა. მიწა კი არ უნდა გაყიდოს, ჩვენმა ხელისუფლებამ და იმ ოპოზიციამაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ როგორმე განვავითაროთ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა. ისრაელის მაგალითი ავიღოთ, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით მეორე, ხოლო რეალიზაციით პირველ ადგილზეა. რატომ არ უნდა მოვიწვიოთ სპეციალისტები ისრაელიდან და სხვა ქვეყნებიდან, ქართველებთან ერთად რატომ არ უნდა შევქმნათ ჯგუფები, რომ სოფლის მეურნეობა წინ წავწიოთ. საქართველოს აქვს შესანიშნავი ნიადაგი და ამ დროს, რატომ უნდა შემოგვქონდეს ნიორი ჩინეთიდან და ირანიდან, ხახვი და ბადრიჯანი _ თურქეთიდან. საკუთარი პროდუქციით მხოლოდ 20 პროცენტს აკმაყოფილებს საქართველო. აი, ამ კუთხით სჭირდება ჩვენს ხალხს დახმარება. როცა ინგრევა და ნადგურდება სახელმწიფო საკუთრება, შეიძლება კრიტიკულადაც ჟღერდეს, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრომ რატომ არ უნდა მიჰყიდოს იგი პიროვნებას, შეიძლება, ერთ ლარადაც კი, მაგრამ პირობა უნდა ჩაუდოს და აკონტროლოს კიდეც. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა გასულ ოთხ წელიწადში, მილიარდი დაიხარჯა აგრარულ სექტორში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დარჩა გასაკეთებელი. მიწა არ უნდა გაუყიდო გლეხს. შეიძლება მივცეთ იგი უცხოელს, მაგრამ გარკვეული დროით.

ცხადია, მე მაჟორიტარულ სისტემას ვუჭერ მხარს, მაგრამ იმის მომხრეც ვარ, პლებისციტი ჩაატარონ და ხალხს ჰკითხონ, უნდათ თუ არა მაჟორიტარები. თუ არ უნდათ, კი, ბატონო, ნუ იქნება. ოპოზიცია ქვეყანაში აუცილებლად უნდა იყოს, მაგრამ ჯანსაღი. არის ქვეყნები, სადაც პარტიის წევრები შიგნით ერთმანეთზე ხელით გადადიან, მაგრამ გარეთ როცა გამოვლენ, საკითხებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე წყვეტენ. ჩვენთან არის მტრობა. შენ ის იყავი, ეს იყავი. დავანებოთ თავი ამას. ჩვენ კანონის ქვეშ უნდა ვიმუშაოთ, მთავარი კანონის უზენაესობაა. იქნებ მეც მემუშავა "ნაციონალებთან", კომუნისტიც ვიყავი, მაგრამ ეს რა, დანაშაულიაა? იმ დროს ის პარტია იყო. "ნაციონალებთან" რომ ხალხი მუშაობდა, მე მათ მტრებად არ ვთვლი. იქ იყვნენ სისხლის სამართლის დამნაშავეები და "ოცნების" დანაშაულიც ის არის, რომ საკადრისი პასუხი არ გასცეს მათ, თანაც კოჰაბიტაციაში შევიდნენ. ახლა კი შემობრუნდნენ ისინი და გამარჯვებულის პოზიციიდან ყველაფერს გვკადრებენ.

რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევის წესს, თუ ჩვენ ევროპისკენ გვაქვს გეზი, იქ პრეზიდენტების 80 პროცენტს ირჩევენ. ჩვენი პარლამენტი აუცილებლად უნდა გაძლიერდეს. თუ ეს ასე არ იქნება, არჩეულ პრეზიდენტს არავითარი ფუნქცია არ ექნება. სატელევიზიო ეთერში გიორგი მარგველაშვილმა თქვა: მე რისი უფლებებიც მაქვს, საქმეს იმის ფარგლებში ვაკეთებ, მეტი რა გავაკეთოო. ხვალ რომ პრეზიდენტს აირჩევ და ის უფლებებიც აღარ ექნება, რაც აქვს, მხოლოდ სიმბოლური იქნება.

მე თუ მკითხავთ, პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევაც არ წარმოადგენს პრობლემას. გამოსავალს ქვეყნის განვითარებისთვის მე საქმის კეთებაში ვხედავ. ისრაელის სახელმწიფოს საერთოდ არ აქვს კონსტიტუცია, ასევე ინგლისს. როგორიც არ უნდა იყოს კონსტიტუცია, თუ სწორი მიდგომა არ იქნა, წინ ვერ წავალთ. კონსტიტუცია ფარატინა ქაღალდად იქცევა.

***იმედა გოგავა — პოლიტიკური მოძრაობა "შენების" წევრი:***

ექსპერტებს, პოლიტიკურ პარტიებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ყველაზე მეტი პრეტენზია საარჩევო კანონთან მიმართებაში აქვთ. ფაქტობრივად, სახელისუფლებო გუნდმა შექმნა კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს, მმართველი პარტია განუსაზღვრელი ვადით დარჩეს ხელისუფლებაში. როდესაც ეს კოალიცია მოდიოდა ხელისუფლებაში, საარჩევნო პროგრამაში შავით თეთრზე ეწერა, რომ ისინი მზად იყვნენ, მაშინვე გადასულიყვნენ პროპორციულ სისტემაზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც აბსოლუტური საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღეს პარლამენტში, ჩათვალეს, თვითონ გადაეწყვიტათ, როგორი იქნება კონსტიტუცია.

"ქართული ოცნების" პროექტი იყო, რომ 2020 წლიდან პროპორციული სისტემით არა მარტო საპარლამენტო, არამედ თვითმმართველობის არჩევნებიც ჩატარებულიყო. მაშინ "ნაცმოძრაობამ" ბოიკოტს მიმართა და არ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. მოხდა ის, რომ სანატრელი გაგვიხდა ეს ცვლილება.

ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ პროპორციულ სისტემას. ამბობენ, რომ ბუიკიკო იყო ჩამოსული და გვითხრა, პროპორციულზე გადავიდეთ, არადა, მის ქვეყანაში არ არის მაჟორიტარული სისტემაო. მართლაც, იტალიაში არჩევნების შერეული სისტემაა, მაგრამ იქ კონსტიტუციონალიზმისა და დემოკრატიის უზარმაზარი გამოცდილება აქვთ. ვერც ერთი პარტია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რაც მუსოლინი წავიდა, ვერ მოდის კონსტიტუციური უმრავლესობით, იმდენად გაძლიერებულია პოლიტიკური ფლანგი და იმდენად შეუძლებელია, ერთმა პარტიამ მიიღოს 70 ან 80 პროცენტი. მით უმეტეს, ისეთი კონსტიტუციური "ხარვეზით", ხმების 48 პროცენტს რომ მიიღებ და რაღაც მანიპულაციებით 77 პროცენტი გამოგდის. მაგალითად, ახლა ჰოლანდიაში ჩატარდა არჩევნები და გამარჯვებულმა პარტიამ მხოლოდ ხმების 18 პროცენტი მიიღო. პოლიტიკურად ჩვენც ასეთი მომზადებულები რომ ვიყოთ, ასეთი პოლიტიკური სპექტრი რომ გვქონდეს, არც ჩვენთან იქნება პრობლემა. მაგრამ როცა ასეთი დიამეტრიული განსხვავებაა ჩვენს ქვეყანასთან, სადაც მხოლოდ შავი და თეთრი ფერი არსებობს, როცა, ბატონი ბიძინა პოლიტიკაში მოდიოდა, თქვა, შუა უნდა გაიკრიფოსო, უნდა დარჩნენ მხოლოდ კეთილები და ბოროტები და უნდა ვებრძოლოთ ამ ბოროტს, ასეთ სისტემაში ეს არის პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი. ასეთი სისტემა შემდეგ შობს პატარ-პატარა მახინჯ დეტალებს. ეს პატარა ჭანჭიკები ქმნიან რაღაც დიდ მექანიზმს, რაც საფრთხეა არა მარტო პარტიებისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც. ეს პატარ-პატარა ფეოდალებად ჩამოყალიბებული ადამიანები "აღორძინებაშიც" რომ იყვნენ, შევარდნაძესთანაც, მერე მიშასთან გადაბარგდნენ და მაჟორიტარებიც იყვნენ, ახლა "ქართულ ოცნებაში " გადმობარგდნენ და მისი მაჟორიტარები არიან. მერე გრიშა რომ მოვა, მასთან იქნებიან. ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს. პროპორციულ სისტემაში ამ ადამიანებს შანსი არ აქვთ. როცა ჩვენ ვსაუბრობთ პროპორციულ სისტემასა და კანონზე, უნდა გავმიჯნოთ, რა არის კანონი და რა საკუთარი ინიციატივები. ზოგადად, მაჟორიტარ დეპუტატს ეკრძალება ეკონომიკური საქმიანობა. ვიცით, რომ მათი უმრავლესობა ბიზნესიდან არის მოსული. ისინი ისევ აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. არა მარტო აგრძელებენ, აძლიერებენ და აფართოებენ საკუთარ ბიზნესს. როცა ადამიანს პოლიტიკაში ყოფნა უნდა, ეს პოლიტიკურ პარტიაში ყოფნას ნიშნავს, პარტიამ უნდა წარადგინოს ის და ჩასვას სიაში. იშოვნიან ფულს და უცებ მოუნდებათ ხელისუფლებაში მოსვლა, თანაც სახელისუფლებო პარტიაში. იშვიათად მინახავს ისეთი ადამიანი ოპოზიციური პარტიით მოდიოდეს.

კონსტიტუციის პროექტმა ორი მოსმენა გაიარა, ეს ნიშნავს, რომ მეტი ცვლილება, ორთოგრაფიულის გარდა, აღარ მოხდება. ასეთ შემთხვევაში ის საქართველოს კონსტიტუცია არ იქნება. ეს იქნება "ქართული ოცნების" კონსტიტუცია, რომელიც ერთ დღესაც ვერ გაძლებს, როცა "ქართული ოცნება" არ იქნება ხელისუფლებაში და ძალიან მალე არ იქნება. ხელისუფლებას რომ მართლა უნდოდეს პროპორციული სისტემა და ამაში, თითქოსდა, ხელს უშლიან თავისი მაჟორიტარები, როგორ ფიქრობთ, არ შეუძლია, უთხრას მის წევრს, ეს ქვეყნისთვის არის საჭირო და არა ადამიანთა ჯგუფისათვის. ან არ აქვთ ბერკეტები, კანონის ფარგლებში მოუარონ ამ საკითხს.

პრეზიდენტის არჩევის წესს რაც შეეხება, მივდივართ იმ პრობლემამდე, რომ პოლიტიკური განათლება და პოლიტიკური კულტურა ქვეყანაში ძალიან დაბალია. ზოგადად ვართ საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე. პარლამენტი ირჩევს პრეზიდენტს, მაგრამ როგორია პარლამენტი? 300-მა ხმოსანმა უნდა აირჩიოს იგი. 150 დეპუტატიდან 120 ერთი პარტიისაა. ამას დაუმატეთ თვითმმართველობით არჩეული ხმები. ამიტომ ასეთ პარლამენტს არა აქვს აზრი და არც მათ არჩეულ პრეზიდენტს.

***ემზარ შუბლაძე — "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:***

თვითონ თქვა "ქართულმა ოცნებამ", რომ 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები პროპორციული წესით ჩატარდებოდა. გვახსოვს, პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის გამოსვლა: თუ არ ჩატარდება, მე დავტოვებ თანამდებობასო. ეს განცხადება შეიცვალა იმით, რომ მაჟორიტარები წავიდნენ წინააღმდეგ. კარგად ვიცით, მათი ფაქტორი არ იყო გადამწყვეტი. ერთს დაუძახებდა მათი პატრონი და ისე გააკეთებდნენ, როგორც საჭირო იყო.

საკონსტიტუციო ცვლილებები იქნებოდა სწორი იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პროპორციული წესით ჩატარების შემთხვევაში ხმები გადანაწილდებოდა თანაბრად. ხელისუფლება რომ შეიცვალოს, პარტია მეორე-მესამე ადგილებზე უნდა გავიდეს, ან ბარიერის მიღმა დარჩეს. 2003 წელს, როცა ხელისუფლებაში ჩვენ მოვდიოდით, 35 პროცენტი მოვიპოვეთ. ხმების გადანაწილების ეს კანონი რომ ყოფილიყო, რასაც დღეს გვთავაზობენ, ხელისუფლების სათავეში ისევ "მოქალაქეთა კავშირი" დარჩებოდა.

დღეს უმრავლესობა ხმას ვერ აგროვებს და საკონსტიტუციო ცვლილებები საფრთხის ქვეშ დგება, თავიდან ჰქონდათ დაგეგმილი ასე გაეკეთებინათ, რომ კიდევ გაეხანგრძლივებინათ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი. თუ კონსესუსი შესაძლებელია, ამისთვის იდეალური ვარიანტია, მორჩენილი ხმების გადანაწილება იმის მიხედვით მოხდეს, ვინ რამდენ პროცენტს აიღებს არჩევნებში. ეს არის სწორი და მართებული. თუ მაინცადამაინც ვერ თანხმდებიან და ოპოზიციაც კომპრომისზე უნდა წავიდეს, ყველაზე ნაკლებად ცუდი ვარიანტი შეიძლება იყოს ის, რომ რაღაც ბარიერი დააწესონ. პირობითად, თუ 50 პროცენტს მიიღებს სახელისუფლებო პარტია, მაშინ წაიღოს ხმები. აუცილებელია ბარიერის დაწევა. პარტია, რომელიც 3 პროცენტს ვერ გადალახავს, ბუნებრივია, იგი აღარ არსებობს და მისი ხელმძღვანელიც იფიქრებს, რაღაც შეცვალოს პოლიტიკურ მართვაში. ასეთი პარტიები შეიძლება შეეშვან კიდეც პოლიტიკას და ქვეყანაში დარჩეს 6-7 ისეთი პარტია, რომელიც ძირითადი იქნება. მერე ესეც აღარ იქნება, რადგან 5-6 კაცით პარლამენტში ყოფნა არაფერია. მაშინ ვიღაცის მხარეს უნდა დადგე. ხელისუფლების გვერდით დგომით კი ის კარგავს მხარდაჭერას. დროთა განმავლობაში დიდი პარტიები შეჭამს ამ პატარა პარტიებს, მაგრამ ჯერ უნდა მისცე მათ საშუალება, რომ განვითარდეს. 5 პროცენტიანი ბარიერი იმიტომ გვაქვს, რომ პატარა პარტიებმა იფიქრონ გამსხვილებაზეო. ამაზე არ იფიქრებენ და ისევ იქნება ორპოლუსიანი ბრძოლა. ფაქტობრივად, ორ პარტიას შორისაა ბრძოლა, ჩვენი და "ქართული ოცნების".

კონსესუსი ძნელად მისაღწევია. რასაც აკეთებენ მიზანმიმართულად ახორციელებენ. ვოლსკი გამოვიდა და ვიღაც

სამტრედიის მაცნე



# გააჩნია, ვინ იქნება სახელმწიფოს სათავეში

ბუკიკიომ თქვაო, მიშამ ვენეციის კომისიის დასკვნა არ გაიზიარაო. ჯერ ერთი, რაც იყო პოლიტიკური მოცემულობა, ისეთი კონსტიტუცია არსებობდა, მაშინ ქვეყანა არ იყო და უნდა შექმნილიყო. ამჯერად სახელმწიფო გვაქვს და მას განვითარება სჭირდება. მაშინ ასე იყო და ახლაც ასე უნდა იყოსო, არასწორია. წარსულის ქექვა წყლის ნაყვაა. ვინაც ფიქრობს, ჩვენზე რაღაცის წამოყვედრება მას ქულებს მოუტანს, საბოლოო ჯამში ეს დამღუპველია ქვეყნისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც. ვენეციის კომისიის დასკვნის უარყოფა, ევროკავშირის მითითებების შეუსრულებლობა საბოლოო ჯამში ჩიხში შეგვიყვანს. თუ რამე კეთდება მუნიციპალური ფონდით, რეგიონალური განვითარების ფონდით ეს ხდება გრანტებით, რომელიც მოდის ევროპიდან და იმ სახელმწიფოებიდან, რომელიც შენ მეგობრად გთვლის. ფიქრობს, რომ განვითარდე და მისი თანატოლი თუ არ გახდები, მის რანგში მაინც გახვიდე. მუდმივად დახმარება არ უნდა გჭირდებოდეს. შენი განვითარება არ აწყობს იმ ქვეყანას, ვინც შენზე განვითარებული არ არის. და ეს არის რუსეთი. გადავხედოთ, რომელი ქვეყანაც მეგობრობს რუსეთთან თუ არის განვითარებული.

თუ ეს კონსტიტუცია ამ ცვლილებებით მიიღეს, ხელისუფლების შეცვლა რევოლუციის გარეშე ვერ მოხდება. კიდევ ერთი რევოლუცია კი ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველია.

რაც შეეხება საპრეზიდენტო მუხლს, ბუნებრივია შეზღუდვები უნდა ჰქონდეს საპარლამენტო რესპუბლიკის შემთხვევაში. კიდევ უფლებების ჩამორთმევა, ნიშნავს, რომ პრეზიდენტი საჭირო არ არის. ყველაზე მთავარი ისაა, რატომ ართმევ ქართველ ხალხს პრეზიდენტის არჩევის უფლებას. 300 ხმოსანს არ უნდა ეძლეოდეს პრეზიდენტის არჩევის უპირატესობა.

ყველა, ვინც პროგრესულად მოაზროვნეა, ვინც ქვეყნის მომავალზე ფიქრობს, ნეგატიურად შეაფასებს ამ ფაქტს.

***კობა ძიძიგური***
***„კონსერვატიული პარტიის" რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე:***

პირადად მე მიმაჩნია, რომ ეს არ არის ჩემი გადასაწყვეტი, ეს არის კონსტიტუციონალისტების საქმე. მათ შეადგინონ, განიხილონ, შეაჯერონ ყველა ვარიანტი. მაგრამ მე ჩემი აზრი მაქვს, შემიძლია გითხრათ, რომ თუკი მაჟორიტარული სისტემა დარჩება, ჩვენი ქვეყნისთვის ცუდი ვარიანტი არ იქნება. მაჟორიტარებს ხშირი შეხვედრა აქვთ ხალხთან, აქვთ მოსახლეობასთან კონტაქტი, მეტად შეუძლიათ მათი ინტერესების გატანა პარლამენტში, ამიტომ კარგი იქნება, დარჩეს ისე როგორც დღეს არის, შერეული სისტემით. რაც შეეხება მიწის საკითხს, სასურველია, თუ მიწა არ გაიყიდება. სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, ისიც რომ მიწას ვერ წაიღებენ, მაგრამ, თუ ამ მიწის უფლება არ გადმოგვეცემა ჩვენივე ქვეყანაში, მიწის საკუთრების გარეშე დავრჩებით. ქორწინების თემა, წესით, განხილვასაც არ უნდა ექვემდებარებოდეს. თუკი ჩავწერეთ რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, რა თქმა უნდა, კარგია, იმიტომ, რომ ამასთან დაკავშირებით შემოტევა არის.

ასევე პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ დიდი პრინციპული განსხვავება არ ექნება, ხალხი ირჩევს, თუ უშუალოდ პარლამენტიდან იქნება არჩეული პრეზიდენტის კანდიდატურა. შეიძლება ერთიც იყოს და მეორეც, თანაბარ პირობებს ვანიჭებ. რაც შეეხება კონსესუსს, შეთანხმება შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა ეს ორივე მხარეს სურს. როცა ერთ-ერთ მხარეს ეს არ უნდა, ამ შემთხვევაში ვერ მოხერხდება შეთანხმება. ნებისმიერი ოპოზიციური პარტიის მიზანი უნდა იყოს ქვეყნის განვითარება, თუ ასე არ არის, მაშინ ძნელია, შეთანხმება იქნეს მიღწეული, ან რაიმე სასიკეთო გაკეთდეს ამ ქვეყნისთვის.

გახდება თუ არა ეს კონსტიტუცია 2020 წელს „ქართული ოცნების" ხელისუფლებიდან წასვლის მიზეზი, როგორც ამას ოპოზიცია ამბობს, ვერ დავეთანხმები. საყოველთაო კონსტიტუციაც რომ მიიღოს ხელისუფლებაში მოსულმა გუნდმა, შესაძლოა ხალხის მხარდაჭერა მაინც ვერ მოიპოვოს. ამდენად, ამას კონსტიტუცია, მისი მიღება და ცვლილებები ვერ საზღვრავს. მთავარია, როგორი მთავრობა ჰყავს ხალხს, როგორი სასიკეთო ძვრებია ქვეყანაში, დადებითის შემთხვევაში ხელახლა აირჩევენ მას, უარყოფითი შედეგები უარყოფით განწყობას მოიტანს. ასე რომ, მარტო კონსტიტუციაზე არ არის დამოკიდებული, იქნება თუ არა „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში."

***ავთანდილ სტურუა***
***„ევროპული საქართველოს" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:***

თუკი ხელისუფლება კონსტიტუციის ცვლილებას, არ აპირებდა 2020 წლისთვის, რა საჭირო იყო ამდენი აურზაური და განხილვები, თუკი ვენეციის კომისიის გადაგდებას აპირებდნენ, რა საჭირო იყო, მათთვის შეჯერებული ვარიანტის გაგზავნა. რა იცვლება კონსტიტუციაში უკეთესობისკენ, არც არაფერი თუ ისევ რჩება მაჟორიტარული სისტემა. ან რა საჭირო იყო ამ კონსტიტუციის ასე ფორსირებულად განხილვა. დამთავრებული იყო თვითმმართველობის არჩევნები და შემდეგ დაწყნარებულად განეხილათ. სხვათა შორის, კონსტიტუციის ეს ვარიანტი მიუღებელია, რადგან ითვალისწინებს მანდატების მითვისებას. დემოკრატიასთან მას არაფერი აქვს საერთო. თუკი 2024 წლისათვის მისაღები კონსტიტუცია მართლაც კარგია, მაშინ მივიღოთ ახლა და 2020 წელსაც ამ პრინციპით ჩავატაროთ არჩევნები, 2024-შიც და 2028-შიც. ზუსტად ამ კონსტიტუციით, ამ მაჟორიტარების არჩევნებით წააგებს „ქართული ოცნება" 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს.

პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით გეტყვით, რომ კონსტიტუციით პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ბოდიში, მაგრამ ის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხომ არ არის, რომელიც ვიღაცამ უნდა დანიშნოს. მე რატომ მართმევ სახელმწიფოს მეთაურის არჩევის უფლებას. ეს იმიტომ კეთდება, ჯავრი იყარონ მარგველაშვილზე. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიყავი მისი ამომრჩეველი და სხვა კანდიდატს ვუჭერდი მხარს, მისგან დიდი ვაჟკაცობა იყო ის, რომ თვითონ თქვა უარი მარიონეტი და ვიღაცის მიერ მართული ყოფილიყო.

არავინ უნდა წაართვას ქართველ ამომრჩეველს თავისი პრეზიდენტის არჩევის უფლება, თორემ გავაუქმოთ მაშინ ეს პოსტი. ან კონსტიტუციაში ჩავწეროთ რომ არ არის სახელმწიფოს მეთაური. ნამდვილად არ მსიამოვნებს, ისედაც შეკვეცილ უფლებებს კიდევ რომ უკვეცავენ.

მე ვარ იმ კონსტიტუციის ცვლილებების მონაწილე, რომელიც ამჯერად იცვლება. ჩვენ ფუნდამენტურად შევეცადეთ მაშინ, შეგვექმნა სახელმწიფოს მართვის მოდელი. კარგი იყო თუ ცუდი, ეს სხვა თემაა. საპრეზიდენტო მმართველობიდან ქვეყანას საპარლამენტო მართვის სისტემა შევთავაზეთ. საპარლამენტო მმართველობა ნორმალურ, დემოკრატიულ პირობებში გამორიცხავს დიქტატს. მართალია, ბევრი გვაქილიკეს მაშინ, მაგრამ დავრწმუნდი, რომ კარგი ყოფილა, რაც შევცვალეთ. სისტემა იგივე დატოვეს. ეს კონსტიტუცია აუცილებლად შეიცვლება. დიდ ტრაგედიას კონსტიტუციის ცვლილებაში ვერ ვხედავ. კონსტიტუცია როგორც ნებისმიერი კანონი ცოცხალი ორგანიზმივითაა და რაღაც სიტუაციას, მომენტებს უნდა მოარგო. მაგრამ როგორც მოგესურვება, მისი ჭრა და კერვა არ შეიძლება.

სხვათა შორის, წინა პარლამენტში და ამ პარლამენტშიც ბევრი ადამიანია, რომელიც მიშა სააკაშვილს ურჩევდნენ მაჟორიტარული სისტემიდან პროპორციულზე გადასვლას. პარტიამ მიიღოს 25 პროცენტი და მიითვისოს ყველა სხვა მანდატი, ბევრად უფრო საშინელებაა, ვიდრე დღეს არსებული. ჩვენ კონსტიტუციას ასეთი სახით ხმას არ მივცემთ.

***ვალერიანე შოცხერია***
***სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი, პარტია „ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:***

ვფიქრობ, რომ ოპოზიციის შეფასება არის გადაჭარბებული. ზოგადად კონსტიტუციას სხვადასხვაგვარად ღებულობენ, ზოგ ქვეყანაში პარლამენტი ღებულობს, ზოგან ტარდება რეფერენდუმი. არის ქვეყნები, კონსტიტუცია არ აქვთ და ისე იმართებიან. მაგალითად, ინგლისი, ისრაელი. როგორ ფიქრობთ, წარუმატებელი ქვეყნებია? არის აგრეთვე, კონსტიტუციური მონარქიები და ისინიც წარმატებულნი არიან. ასე რომ, სუბიექტური დამოკიდებულებაა. ის, რომ ჩვენ ვთქვათ, კონსტიტუცია არის დემოკრატიული ან არადემოკრატიული, გადაჭარბებულია.




როცა საპრეზიდენტო მოდელზე მიდგებოდა საქმე, ის ოპოზიცია, რომელიც თავის თავს პირველს უწოდებს, ბუნებრივია, ნებისმიერი მოდელის წინააღმდეგი იქნებოდა, რასაც ჩვენ შევთავაზებდით. მათთვის მთავარია, ოპონირება გაგვიწიონ ნებისმიერი კუთხით.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას შეგახსენებთ, რომელშიც ყველაფერი ბრწყინვალედ ეწერა, მაგრამ არსებობდა დიქტატორული სახელმწიფო. იქ სუვერენულ რესპუბლიკებზეც ეწერა, მაგრამ იყო სუვერენული? გააჩნია, ვინ იქნება სახელმწიფოს სათავეში.. ასე რომ, საკამათო თემაა და „ქართულმა ოცნებამ" სამტრედიაშიც გამოიტანა სამსჯელოდ საკონსტიტუციო ცვლილებები. დისკუსია ცალმხრივი არ იყო. „ქართული ოცნება" წინა ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იჯდა, რასაც პროტესტიც მოჰყვა, მაგრამ თუკი ქვეყანას სჭირდება, ასეც უნდა მოიქცე.

ის, ვინც ამბობს, ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს ვიხანგრძლივებთ, თვითონ მას ჰქონდა თავის თავზე კონსტიტუცია მორგებული. თუ საქმე გაუნაწილებელი ხმების წაღებას გულისხმობს, გაიმარჯვოს და წაიღოს, ვინ უშლის ხელს, დემოკრატიული არჩევნებია. თავის აზრს არავინ არავის ახვევს. თავისუფალია მედიასაშუალებებიც. მეტიც, ისინი უფრო აგრესიულები ხელისუფლების მიმართ არიან. დღეს არ არის აკრძალული, ტაბუდადებული თემები. ეს არის პრინციპული განსხვავება ჩვენსა და ყოფილ ხელისუფლებას შორის. ჩვენ კანონს არ ვარღვევთ. არასამთავრობოების და ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მოთხოვნა არ ნიშნავს საზოგადოების მოთხოვნას. ისე წარმოაჩენენ, რომ თითქოს ეს საზოგადოების მოთხოვნაა.

პრეზიდენტის არჩევის წესს შევეხები, მე, მაგალითად, შევთავაზებდი დარჩენილიყო პირდაპირი წესით არჩევა. ის რომ „ქართულ ოცნებაშიც" არჩევის წესზე არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს და ისე არ არის, როგორც ერთ კაცს უნდა, ესეც დემოკრატიაზე მიუთითებს. მე გამგებელი ვარ და ზოგიერთ საკითხში ყველაფერს არ ვეთანხმები. თუნდაც ის, ჩემი აზრი დავაფიქსირე საპრეზიდენტო მოდელის მიმართ, თუ ეს საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, მაშინ პრეზიდენტს სხვა უფლებები უნდა ჰქონდეს, თუ საპარლამენტო რესპუბლიკაა, შეიძლება პრეზიდენტის ინსტიტუტიც აღარ იყოს. როცა ერთი ნაწილი ამბობს, პრეზიდენტის მომხრე ვარ, მაშინ მისი უფლებების გაზრდაზეც უნდა იფიქროს. მე მონარქიის მომხრე ვარ. ისეთ ტრადიციულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს მოდელი გაამართლებს. ასე რომ, მე ყოველთვის არ ვფიქრობ ისე, როგორც უმრავლესობა. აი ესაა განსხვავება „ქართულ ოცნებასა" და იმ პარტიებს შორის, რომლებიც ერთხმად ერთი პიროვნების მიერ იყვნენ მართულნი.

კონსესუსზე ლაპარაკობს ყველა და ამაზე უკეთესი არაფერია. როდესაც მოწინააღმდეგის მხრიდან არის მოთხოვნა, ასე გააკეთე, თორემ დაგამხობთ და არ ემხრობი, ეს ნიშნავს, რომ კონსესუსზე არ მიდიხარ. ზოგჯერ გვინდა ევროპული მოდელები გადმოვიღოთ, მაგრამ ჩვენ ძალიან განსხვავებულები ვართ, ჩვენს ხასიათს მონარქია უფრო შეესაბამება. შეიძლება ვცდები, მაგრამ ხალხსაც უნდა შევეკითხოთ. თემა საკამათოა და არ შეიძლება თითის გაშვერა, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილება უკეთესია, ვიდრე ის. ერთსაც ეყოლება თავისი მომხრეები და მეორესაც. მე ზოგადად პროპორციული სისტემის მომხრე ვარ.

მუნიციპალიტეტში ინვესტიციების შემოტანა არ უნდა იყოს კარგ თუ ცუდ მაჟორიტარზე დამოკიდებული. ჩვენ ძალიან აქტიური დეპუტატი გვყავს, რომელიც ბევრ საქმეში გვეხმარება. წინა დეპუტატიც გვეხმარებოდა. თუ ამ კუთხით ვიმსჯელებთ, ჯერჯერობით, საჭიროა მაჟორიტარი დეპუტატი, მაგრამ, ზოგადად, პარლამენტს თავისი საქმე უნდა ჰქონდეს, აღმასრულებელ ხელისუფლებას _ თავისი. ოპონენტები, რომლებიც გვაბრალებენ, რომ ჩვენ არ მივდივართ კონსესუსზე თითიდან გამოწოვილი ბრალდებაა. რაღაც პოპულიზმის და გარკვეულ ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით კეთდება ეს. ჩვენ პირველი ნაბიჯი გადავდგით კონსესუსისკენ და ხალხს ვეკითხებოდით. შეიძლება, არც განხილულიყო და მიგვენდო კონსტიტუციონალისტებისთვის. ახლა აქ ვარ და ამიტომ ვლაპარაკობ ასე, მანამდე იქ ვიყავი და ისე ვლაპარაკობდი, არ შეიძლება.

რაც შეეხება ბარიერის აწევას თუ დაწევას, საუბარი იყო ჯერ 7, 5 და ახლა 3 პროცენტზე. ეს ბევრს მისცემს საშუალებას, გადალახოს ბარიერი. მაგრამ ესაა თვითმიზანი? საქართველოში ძალიან ბევრი პარტიაა. დიდ ქვეყნებში არ არის ამდენი. მივესალმებოდი პარტიების გამსხვილებას. ყველას თავისი ამბიცია აქვს და თავმჯდომარეობა უნდა. აქედან გამომდინარე, 3 და 5 კაციანი პარტიები იქმნება. საზოგადოების პოლიტიკური განვითარებისთვის კარგი იქნებოდა, ისეთი პარტიები ჩამოყალიბებულიყო, როგორიც ევროპის განვითარებულ ქვეყნებშია. ქრისტიან-დემოკრატიული მიმართულებების პარტიები, სახალხო მიმართულებების, პრინციპული გადაწყვეტილებების დროს ზოგჯერ ერთიანდებიან ისინი ბლოკის სახით ან ერთ-ერთი პარტიის ქუდის ქვეშ. ასე მიდის პაექრობა და არა ისე, 80 პარტია რომ მონაწილეობს არჩევნებში. ჩვენს ბიულეტენს რომ ნახავ საპარლამენტო არჩევნების დროს, როგორც დავთარში, ისეა ჩამომწკრივებული პარტიები. სამი პარტია იმარჯვებს და მერე გული სწყდებათ, იძახიან რომ არადემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ესეც ჩვენი ხასიათია.

# ოქროს და ვერცხლის მედალოსნები დააჯილდოვეს

**ნათია ნაცვლიშვილი**

წარმატებული გამოდგა 2016 წელი სამტრედიელი კურსდამთავრებულებისათვის. 47 ოქრო და 17 ვერცხლი_ აი, გასული წლის ჩვენი მონაგარი. მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2016 წელს სკოლადამთავრებულ ოქროსა და ვერცხლის მედალოსან ახალგაზრდებს უმასპინძლეს და მედლები გადასცეს. რადგან მედალოსანთა უმრავლესობა სტუდენტია და ახლა საუნივერსიტეტო გამოცდების პერიოდია, საგანმანათლებლო რესურსცენტრში მათი მცირე რაოდენობა გამოცხადდა. ამ ბავშვების გვარ-სახელები, უპრიანია, ჩვენს მუნიციპალურ გაზეთშიც დაიბეჭდოს. მაშ ასე, პირველ საჯარო სკოლას 6 ოქროს მედალოსანი ჰყავს: დარეჯან გოგიშვილი, მარიამ ხურცილავა, მარიამ თადუმაძე, მარიამ კაკაშვილი, მერი კუტალაძე, ელიზავეტა გოჩელეიშვილი. მეორე საჯარო სკოლას ერთი ოქროს მედალოსანი_ ირაკლი ჩაჩუა ჰყავს, მესამე საჯაროს_ 7 ოქროს მედალოსანი: ლია ბექაია, გიორგი ბოცვაძე, აზა გოგიშვილი, ნანა თოფურია, ნიკოლოზ კაცაძე, ნინო ჩომახიძე, შოთა ახობაძე. ოთხი მედალოსანია მეოთხე საჯაროში: ლია გელეიშვილი, ნიკოლოზ კურდღელია, ბესიკ ლორია, მანანა ჩიტია. მერვე საჯაროს ოქროს მედლის მფლობელი მხოლოდ ვიოლა გეგეშიძეა. მეცხრე საჯარო სკოლის ოქროს მედლის მფლობელი კი ზურაბ კალაძე. მეათე საჯარო სკოლის ოქროს მედლის მფლობელები არიან: თეონა ზაქარეიშვილი, კარლო თევზაძე, ალეკო კაცაძე, გიორგი ხუჭუა. ოქროს მედალოსნებით მეთერთმეტე საჯარო ლიდერობს: ლანა ბოხუა, ელენე ბიბილეიშვილი, მერაბ ვაშაკიძე, ნინო თადუმაძე, ნინო თევზაძე, ნინო კუტალაძე, თინათინ შანიძე, თომა ვაშაკიძე, ალექსანდრე სანიკიძე, ქრისტინე თოთაძე. მეთორმეტე საჯარო სკოლის ოქროს მედლის მფლობელები არიან: შოთა პაპავა, ბექა სულაქველიძე, თორნიკე ღოღობერიძე, ლევან კანდელაკი და ქეთევან ბანძავა. დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლის ოქროს მედლის მფლობელები ანა ვაშაკიძე და ლევან ნასარეია არიან. სოფელ იანეთის საჯარო სკოლას ერთი მედალოსანი ჰყავს: მარიამ ჩაჩუა. დაბა კულაშის საჯარო სკოლას ორი_ მარიტა კვანტალიანი და ანა ბადუაშვილი. ჩხენიშის საჯაროს ერთი ოქროსმედალოსანი ჰყავს: სალომე ხარებავა. შპს ''ცოდნა'' ორი ოქროს მედალოსნით, ლილიანა კვეტენაძითა და ქრისტინა ჯაშით არის წარმოდგენილი. ვერცხლის მედლის მფლობელნი არიან: დემეტრე ჯიქია, ეთერ ჯანაშია (პირველი საჯარო სკოლა), ამირან გოგიშვილი, გივი კვერხელიძე (მეორე საჯარო სკოლა), ნიკო მიქელთაძე, გიორგი ტაბიძე, ზურა ხუხუნაიშვილი (მესამე საჯარო სკოლა), მერი კოხრეიძე, ზანი ხუჭუა (მეოთხე საჯარო სკოლა), დათო დვალიშვილი, გიორგი მხეიძე (მე-11 საჯარო სკოლა), მარი ბოლქვაძე (მე-12 საჯარო სკოლა), შოთა ვაშაკიძე, დათო ვაშაკიძე (დიდი ჯიხაიშის პირველი სკოლა), ქეთევან თევზაძე, მარიამ ჯვარშეიშვილი (სოფელ იანეთის საჯარო სკოლა), დაბლა გომის საჯარო სკოლას მარიამ ბაღდავაძე წარმოადგენს.



საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, ელენე ბოხუა მედალოსნებს მიესალმა, მიულოცა წარმატება და ყოველივე საუკეთესო უსურვა მომავალში. ''სამტრედიის მაცნე'' რამდენიმე მათგანს გაესაუბრა. მარიამ თადუმაძე ის სასიამოვნო გამონაკლისია, მისადმი გამოხატული ნდობა ასივე პროცენტით რომ გაამართლა. მისმა მშობლიურმა პირველმა სკოლამ, თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორ ვატო ლეჟავასაგან, მადლობის სიგელი მიიღო მარიამ თადუმაძის აღზრდის გამო. მარიამი ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი გახდა. ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა: ''საბოლოო ჯამში შრომა ფასდება და ეს სტიმულია, უფრო გიხარია, გეხალისება, გიხარია ასევე, რომ ხედავ სხვასაც უფასდება შრომა, თუმცა, მაინც არ მგონია, რომ მედალი ან ნიშნები აუცილებელია წარმატებისთვის. მთავარია, რა სფეროშიც გადაწყვეტს ადამიანი მოღვაწეობას, იმ სფეროში იყოს კარგი. უნივერსიტეტში 100 პროცენტიანი დაფინანსება მოვიპოვე და ამჟამადაც ''ჯი ფი ეი'' მაქსიმალური მაქვს. '' მეათე სკოლელმა ალეკო კაცაძემ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 50 პროცენტიანი დაფინანსება მოიპოვა. _'' მადლობა ჩემს სკოლას, რომ დამიფასდა სწავლა, მჯერა, ყოველთვის მოჰყვება დაფასება წარმატებულ სწავლას''. _ გვითხრა მან. დარბაზში კიდევ ერთი, ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი ოქროს მედალოსანი_ ვიოლა გეგეშიძე (მერვე სკოლა) იმყოფებოდა. ის კავკასიის უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტია. მარიამ ბაღდავაძე საქართველოს უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტია: ''ჩემთვის მედალი წარმატების დაფასებას ნიშნავს, რაღაცნაირად გახარებს, მოტივაცია გეზრდება, დიდი მადლობა დაბლა გომის სკოლას ამ მედლისათვის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ვიქნები, მინდა გავხდე წარმატებული და მოვაგვარო ქვეყნებს შორის ურთიერთობები.'' _ გვითხრა მარიამმა. მესამესკოლელი ზურა ხუხუნაიშვილი კავკასიის უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტია, მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა: მარტო მედალი არ განსაზღვრავს წარმატებას, იმისათვის არ სწავლობენ მხოლოდ, რომ მედალს ელიან. მთავარია, რა ცოდნის პატრონი ხარ, გჭირდება დიდი მონდომება და ნაყოფიერი შრომა, მერე ეს ყოველივე თავისთავად დაგიფასდება. რა თქმა უნდა, მიხარია და კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი 12 წლიანი შრომა შეფასდა მედლით. მეორესკოლელი ირაკლი ჩაჩუა უამრავი აბიტურიენტის იმედია: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ის მხოლოდ სკოლაში მიღებული ცოდნით, რეპეტიტორის გარეშე მოხვდა, ამით დაამსხვრია მითი, რომ რეპეტიტორის გარეშე უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა წარმოუდგენელი რამაა. ირაკლიმ ჩვენთან საუბარში აღნიშნა:'' იურიდიულ ფაკულტეტზე 50 პროცენტიანი დაფინანსებით მოვხვდი, სიმართლე გითხრათ, დიდი ხანია მაინტერესებდა, სად გადიოდა ჩემი შესაძლებლობების ზღვარი, რასაკვირველია, პასუხი ამ კითხვაზე უკვე გავეცი, რომ მივიღე ოქროს მედალი. ეს ჯილდო ჩემთვის სტიმულია, რადგანაც ადამიანის შესაძლებლობების სრულ მობილიზებას ახდენს.

დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი. ''სამტრედიის მაცნეს'' მან განუცხადა: ''იცვლება ყველა სფეროში მიდგომები, წინათ სხვა ფორმა ჰქონდა მედალს, შემადგენლობაც სხვა იყო, იმ წელს, მე რომ სკოლა დავამთავრე, რაიონში ერთი ოქროს მედალოსანი იყო, რაც მთავარია, ამ ბავშვების შრომა ფასდება, ბედნიერი ვარ, რომ ამ დაჯილდოების ცერემონიაში ვღებულობ მონაწილეობას, მინდა ვუთხრა ამ ახალგაზრდებს: ჩვენი ეროვნული ტრადიცია არ დაიკარგოს, არ დაივიწყონ თავიანთი იდენტობა, ისინი დიდი ტრადიციების მემკვიდრენი არიან.'' მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი, თინა ხარძიანი: '' სკოლა რომ დავამთავრე, მაშინ ორი წლით გაუქმებული იყო ოქროს მედალი. მე და მანანა მსხილაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის 24-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ვიყავით ხუთიანი ატესტატის მფლობელები, მართალია დღესდღეობით ოქროს მედალოსანი ბევრია, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია. მიმუშავნია სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ და შემიძლია ვთქვა: მართალია, უფრო გამარტივდა მედლის გაცემა, მაგრამ ახლანდელი ახალგაზრდები უფრო ნიჭიერები, კრეატიულები და მიზანდასახულები არიან. წარმატებებს ვუსურვებ ამ ბავშვებს და ვუსურვებ, სხვადასხვა ეტაპზე მიღებული ცოდნა თავიანთი ქალაქისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოეყენებინოთ.'' განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე:'' გილოცავთ, წარმატებულები ხართ და გისურვებთ, კვალიფიციურ სპეციალისტებად დაბრუნებოდეთ ჩვენს მუნიციპალიტეტს.''

ოქროს მედალოსნის დედის სტატუსით იმყოფებოდა შეხვედრაზე საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძე, რომელმაც უამრავი წარმატება უსურვა ნიჭიერ ახალგაზრდებს. დაჯილდოების ცერემონიას მასპინძლობდნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი გია აბრამიძე, მთავარი სპეციალისტები ალექსანდრე თევზაძე და ლილი ფხაკაძე და სპეციალისტი ელზა ცხვირავაშვილი.

## პეტრე-პავლობას გილოცავთ!

სული წმინდის მოფენის შემდეგ ქრისტეს მოწაფეებმა, ანუ მოციქულებმა ჯერ იერუსალიმის მახლობლად დაიწყეს ქრისტეს სასწაულების ქადაგება, ხოლო შემდეგ მათ სხვა ქვეყნებში იწყეს მოგზაურობა და ქადაგება ქრისტეს სჯულისა.



თორმეტი მოციქული ჰყავდა ქრისტეს, მაგრამ თავიანთი ღვაწლის გამო გამორჩეულები იყვნენ პეტრე და პავლე.

რომის ქალაქში წარმართები ცხოვრობდნენ, როცა პეტრე და პავლე იქ საქადაგებლად მივიდნენ. ბევრი მოაქციეს ქრისტეს სარწმუნოებაზე, რაც არ სიამოვნებდა რომაელთა ხელმწიფეს ნერონს. საშინლად დევნიდნენ რომში ნერონის მითითებით ქრისტიანებს. ზოგს ფისს ასხამდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ და ბაღებს ღამით ამგვარად ანათებდნენ. ზოგსაც ბორკავდნენ და მხეცებს მიუგდებდნენ.

სწორედ ნერონის დროს ეწამნენ ქრისტესათვის მოციქულები პეტრე და პავლე.

პეტრე მოციქული თავქვე გააკრეს ჯვარზე ჯალათებმა, პავლე მოციქულს კი თავი მოჰკვეთეს.

12 ივლისს იხსენებს დედა ეკლესია მოციქულებს.

*ლევან გაბეჩავა*








# ექვთიმეს ლაშქარი სამტრედიიდან

ლევან გაბეჩავა

***...გადაწყდა, განძი უნდა გაეტანათ საქართველოდან, მცველად კი ექვთიმე თაყაიშვილი უნდა გაჰყვეს.***

***მიაქვთ განძი, მიდის ექვთიმე სამშობლოდან, არავინ იცის რამდენ ხანს გასტანს მგზავრობა, ცხოვრება უცხო ცის ქვეშ.***

***ფიქრში ჩაძირულა ექვთიმე. ლიხაური, მისი მშობლიური სოფელი, მერე ბრძოლა ქვეყნის კეთილდღეობისთვის, დემოკრატიული საქართველოს დაბადება...***

***მიდის ექვთიმე და ვერც კი წარმოიდგენს, რომ უმძიმესი წლების შემდეგ კვლავ შეძლებს დაუბრუნდეს სამშობლოს და დაუბრუნოს განძი ეროვნული, ქართული.***

***ვერც კი წარმოიდგენს ექვთიმე, თუ მისი ღვაწლი და თავგანწირვა იმდენად დაუფასდება, რომ წმინდანთა დასში მიუჩენენ ადგილს.***

***არადა, მოხდა ყველაფერი, განძიც საქართველოშია, განაწამებნატანჯი მამულიშვილიც ჩამოვიდა სამშობლოში ჯანგატეხილი და...***

***წმინდანის სახელით შევიდა საქართველოს უახლეს ისტორიაში თავად საოცარი ბიოგრაფიისა და ისტორიის კაცი – ექვთიმე ღვთისკაცი.***

იდეა, საქველმოქმედო კონცერტი ჩაეტარებიათ და პატრიოტულ, ეროვნულ საქმეს შეწეოდნენ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შოუ-ბალეტ "ფანტაზიას" ხელმძღვანელსა და ქორეოგრაფს ქრისტინე ზაქრაძეს დაებადა. მხარი აუბეს კოლეგებმა, სახლის ადმინისტრაციამ და...

გადაწყდა, ისევ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ანსამბლების მონაწილეობით კონცერტი დიდი ერისკაცისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მამულში, მის სახლ-მუზეუმში გამართულიყო დიდ ჯიხაიშში.

ცხელა, თანაც ძლიერ, ისე ძლიერ, რომ ეროვნულ სამოსში გამოწყობილ გოგო-ბიჭებს მასწავლებელი, მადონა კოხრეიძე ემუდარება, ძალები მოიკრიბეთ, ბავშვებო, არ დაიღალოთ, კიდევ ერთი ღონისძიება და მერე მომავალ სასწავლო წლამდე დაისვენებთო.

გეზი დიდი ჯიხაიშისაკენ ავიღეთ.

საოცარ სიმშვიდეს, ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის ეზოში რომ გამეფებულა, ჩიტების ჭიკჭიკი და გოგო-ბიჭების ჟივილ-ხივილი არღვევს.

მზრუნველი ხელი ამჩნევია ირგვლივ ყველაფერს.

გულღიად, მხიარულად შეგვეგება აქაურობის დიასახლისი, სახლ-მუზეუმის დირექტორი ლია ბიბილეიშვილი. მერე მშენებლობის მიმდინარეობა გაგვაცნო, სარეაბილიტაციო სამუშაოებია მუზეუმში.

სტუმრებს სტუმრები ემატებოდა... ყველას უნდა შეხვდეს, მიესალმოს, მიიპატიჟოს მუზეუმის დირექტორმა.

მეგზურობას სოფლის მაჟორიტარი გოგი ლეჟავა აგრძელებს, საოცარი სიზუსტით გვიხსნის იგი სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის ყველა ეტაპს. ეტყობა, სისტემატურად რომ ინტერესდება მუზეუმითა და საერთოდ სოფლისა და თანასოფლელთა პრობლემებით.

სტუმართაგან პირველნი მსახიობი გიორგი აზნაურ-ახობაძე და რეჟისორის ასისტენტი ხათუნა ვაშაძე მოვიდნენ. ყოველგვარი ოფიციალურობისაგან გავთავისუფლდით, ასწლოვან ხეთა ჩრდილში ძელსკამზე მოვიკალათეთ და შევიტყვეთ, უფრო სიღრმისეულად ვისაუბრეთ ამ დღის მნიშვნელობაზე.

"ნიჭიერმა ახალგაზრდა რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ წლების წინ დააარსა კინო კომპანია, პროექტის "დაკარგული ლანდები" ფარგლებში რამდენიმე ფილმი გადაიღო. ამჯერად კი შემოქმედებითი ჯგუფი დიდი ერისკაცის, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილი) შესახებ იღებს ფილმს. უდიდესი პასუხისმგებლობაა. ფილმი ძირითადად ქველმოქმედებით კეთდება, შემოქმედებითი ჯგუფი უკვე საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში გახლდით, ვიყავით ექვთიმეს მშობლიურ ლიხაურში, საფრანგეთში, პარიზში, ლევილში, სადაც საქართველოდან გატანილ ეროვნულ განძს



მფარველობდა, მცველად ედგა ერისკაცი და სათავისოდ მისხალიც კი არ გამოუყენებია.

როგორც მოგახსენეთ, რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძეა, სცენარი ლაშა კანკავასა და ნიკოლოზ ხომასურიძეს ეკუთვნით". – გვიხსნის მსახიობი გიორგი აზნაურ-ახობაძე, ერთ-ერთი მთავარი, პიერ ყოდანის როლით რომ არის ფილმში დაკავებული, წარმოშობით სამტრედიელი ვარო, გიორგიმ. ჩასასვლელად ემზადებოდა მზე.

მოსაღამოვდა.

თბილად მიესალმა შეკრებილთ და საღამოს მიზანზე მოკლედ ისაუბრა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ტატა გოგუაძემ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხატვრული კოლექტივები მიიწვია მან სცენაზე.

ცეცხლი დაანთეს გოგო-ბიჭებმა. ცას სწვდებოდა ომახიანი სიმღერა, ჟრუანტელის მომგვრელი იყო ცეცხლოვანი ცეკვები, ქართული ფოლკლორი, კლასიკა, დეკლამაცია, ერთი სიტყვით, მრავალფეროვანი ნომრებით იყო დახუნძლული თითქმის საათ-ნახევრიანი კონცერტი. ბოლო არ უჩანდა აპლოდისმენტებსა და აღტაცებულთა შეძახილებს.

კონცერტში მონაწილეობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხატვრულმა კოლექტივებმა მიიღეს.

იდეისთვის ქრისტინე ზაქრაძეს, მასპინძლობისთვის ლია ბიბილეიშვილს, ლამაზი, დახვეწილი კონცერტისთვის ახალგაზრდებსა და პედაგოგებს გულწრფელი მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ და რეჟისორსა და მსახიობებს წარმატებები უსურვა.

წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ ეტაპებზე საინტერესოდ ისაუბრა გამგებლის მოადგილემ ლიზა კრავეიშვილმა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, საკრებულოს წევრები, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ დიდ ჯიხაიშში, ნუგზარ ნუცუბიძე და სხვები აღფრთოვანებას არ მალავდნენ, კმაყოფილები იყვნენ საღამოთი.

"აღფრთოვანებული ვართ დღევანდელი დღით, მოხარულნი ვართ, დიდი ერისკაცის, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში რომ ვიმყოფებით, ფილმი ძირითადად ქველმოქმედებით მოზიდული თანხებით ფინანსდება, პროექტს 7000-მდე მხარდამჭერი ჰყავს, "ექვთიმეს ლაშქარი" დავარქვით მათ. დღეიდან თქვენც, აქ მყოფნი, სამტრედიელები "ექვთიმეს ლაშქრის" წევრები ხართ. ბევრ ქალაქში ვიყავით, ბევრ გამგებელს უთქვამს ჩვენთვის კულტურული უარი, მადლობა სამტრედიის გამგებელს, თქვენ, აქ მყოფთ მხარდაჭერისათვის". – შემოქმედებითი ჯგუფის სახელით ასე მიმართა შეკრებილთ რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ. მან ექვთიმეს დროშა გადასცა ქრისტინე ზაქრაძეს აპლოდისმენტების თანხლებით.

სცენარისტმა ლაშა კანკავამაც გაგვიზიარა კონცერტის, საღამოს შთაბეჭდილებები და პროექტის მხარდაჭერისათვის მადლიერება გამოხატა.

ლამაზი საღამოს შემდეგ ემოციები მოეძალა, ღელავდა ქრისტინე ზაქრაძე, ამის მიუხედავად მადლობად დაიღვარა იგი. ტატა გოგუაძე, ელიკო ანკვაბი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები, მათი მშობლები, სახლის პედაგოგები, მუნიციპალიტეტის თავკაცები, მისი ყოველი წარმატების სულისჩამდგმელი მისი მშობელი დედა იყვნენ მადლობის ადრესატები.

"შესანიშნავი ჩანაფიქრია რეჟისორისაგან, კარგი საღამო იყო, ექვთიმესნაირი ერისკაცები უმრავლოს ღმერთმა ჩვენს ერს, აღფრთოვანებული ვარ". – განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" პედაგოგმა ნუგზარ მიქაძემ.

"ძალიან ვისიამოვნეთ, კარგი კონცერტი იყო, ნეტავ კიდევ გაგრძელებულიყო". – თქვა თბილისიდან ბიძაშვილებთან სტუმრად მყოფმა მოსწავლემ გიორგი წიკლაურმა.

"რეჟისორის იდეით, დღევანდელი დღით აღტაცებული ვარ, ახალგაზრდებმა მეტი უნდა იცოდნენ ჩვენი ერის სახელოვანი წარსულის შესახებ". – აღნიშნა ლია ბიბილეიშვილმა, მუზეუმის დირექტორმა.

ასობით სამტრედიელი შეუერთდა ამ არაჩვეულებრივ საღამოს "ექვთიმეს ლაშქარს".

რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძესა და ქრისტინე ზაქრაძის თხოვნით გადაიღეს ფოტო სტუმარ-მასპინძლებმა.

მზე ჩაესვენა, შებინდდა. დადებითი ემოციებით ვტოვებთ დიდი ერისკაცის ზღაპრულ კარ-მიდამოს.

გეზი სამტრედიისაკენ ავიღეთ.

არაფერი ხდება შემთხვევით.

ღვთის ნება იყო უთუოდ, დიდი ერისკაცის, წმინდანის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ფილმის მხარდამჭერი საქველმოქმედო საღამო მეორე წმინდანის, მიტროპოლიტ ნაზარი (ლეჟავას) მშობლიურ სოფელ დიდ ჯიხაიშში რომ გაიმართა.









ქეთევან ჭელიძე

# „შეხვედრა წარსულთან”

***ის, რაც რამდენიმე დღის წინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ხდებოდა, ფანტასტიკის ჟანრს არ განეკუთვნება. თუმცა, დროში ვიმოგზაურეთ და მე-20 საუკუნის კულტურული ცხოვრების მოწმენი გავხდით. ღონისძიების "შეხვედრა წარსულთან" იდეა, ამ სახლთან არსებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაჩნდა. მიზეზი "სიმღერა სამტრედიაზე" ერთ-ერთ შემსრულებელთან, ცისანა ნიკურაძესთან სტუმრობა გახლდათ. როგორც მუზეუმის ხელმძღვანელმა გულიკო ცინცაძემ განაცხადა, იმდენად დიდი იყო ქალბატონი ცისანას ემოცია მათ დანახვაზე, გადაწყვიტეს, შეხვედრა მოეწყოთ იმ ადამიანებთან, ვინც თავისი შემოქმედებით წლების განმავლობაში ალამაზებდა სამტრედიის კულტურულ ცხოვრებას.***



წარსულთან შესახვედრად ყოფილმა თუ მოქმედმა ხელოვანებმა მოიყარეს თავი. ღონისძიებამ მოლოდინს გადააჭარბა. გარდა კარგი ინსცენირებისა, იგი სიყვარულითა და წარსულისადმი პატივისცემით იყო გამთბარი.

ქალბატონ გულიკოსთან ერთად შეხვედრას მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომელი, ჯუნა გიგუაშვილიც უძღვებოდა. მოწვეულ სტუმრებს შორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე იმყოფებოდნენ.

როგორც ყოველთვის, მუზეუმის ღონისძიებას ბატონი ჯონი ნადირაძე ამჯერადაც გვერდით ედგა. იმ წარსულის, ბევრს რომ სიხარულის ცრემლი ადინა, ახალგაზრდობა დაუბრუნა და მადლიერებით აავსო, ერთ-ერთი მესაძირკვლე და მეისტორიე, ქალბატონი ნათელა გელეიშვილიც იმყოფებოდა დარბაზში.

მიუხედავად იმისა, ჯანმრთელობა ხელს არ უწყობს, შეძლო და შვილიშვილთან ერთად ღონისძიებას ცისანა ნიკურაძეც ეწვია. თამარ ისერგიშვილთან და ბადრი რობაქიძესთან ერთად მის მიერ ნამღერი "სიმღერა სამტრედიაზე" სამტრედიის სავიზიტო ბარათია. სიმღერა საქართველოს რადიოს "ოქროს ფონდშია" დაცული.

გაიხსენეს 1960 წელი, როცა "სიმღერა სამტრედიაზე" კომპოზიტორმა დავით თორაძემ პეტრე გრუზინსკის ტექსტზე შექმნა, ხოლო სოლისტებმა 100 კაციან გუნდთან, რომელსაც სერგო მუქერია და იაშა ლეჟავა ხელმძღვანელობდნენ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე შეასრულეს. 1986 წელს კულტურის სახლში თამარ ისერგიშვილთან შეხვედრის ამსახველი ვიდეოკადრებიც აჩვენეს დარბაზში შეკრებილებს.

რუსუდან ქუთათელაძე, ქალბატონი თამარის შვილი, ცრემლებს ვერ ერეოდა: "ძალიან ბედნიერი დღეა. დიდი მადლობა ქალბატონ გულიკოს, ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო ასეთი ლამაზი ღონისძიების მოწყობაში. თითქოს დედაჩემი გამიცოცხლეს".

"დიდი მადლობა ქალბატონ გულიკოს, მას რომ არ გავხსენებოდი, ალბათ, ეს შეხვედრა არ შედგებოდა. უღრმესი მადლობა ყველა მონაწილეს. სახლში რომ მესტუმრნენ, დისკი გადმომცეს, რომელზეც ჩვენი სიმღერაა ჩაწერილი, თითქმის ყოველდღე ვუსმენ". _ ემოციები არც იმ შეხვედრის შემდეგ დაუფარავს ციალა ნიკურაძეს.

სამტრედიელებს არც ტრიო "სიმები" ავიწყდებათ და განსაკუთრებით მათ მიერ შესრულებული "ფერია", მთელმა რაიონმა რომ აიტაცა მაშინ. სერგო კრავეიშვილი, დათო კოპალეიშვილი და მერაბ წილოსანი მარტო საქართველოში კი არა, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებშიც გაიცნეს. მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი "სიმები" სხვადასხვა პრესტიჟული გადაცემების მონაწილენი იყვნენ. ამ ყველაფრის შესახებ დათო კოპალეიშვილმა ისაუბრა, უცხოეთში მათი კონცერტებიც გაიხსენა და მათი გამოსვლების ამსახველი ვიდეომასალაც უჩვენა მაყურებელს. იქვე მომდევნო წლის სექტემბერში თავისი სოლო კონცერტი _ "ჩემი გზა" _ დააანონსა.

უხუცესთა ანსამბლ "სანავარდოს" წევრი, ნიკოლოზ აბულაძეც მოიწვიეს წარსულთან შესახვედრად. "ძალიან კარგი ღონისძიებაა, მადლობა მათ. გული მწყდება, ჩვენი ხელმძღვანელის, ბენია მიქაძის გარდაცვალების შემდეგ "სანავარდო" რომ დაიშალა. მინდოდა, მაგრამ მისი აღდგენა ვეღარ მოხერხდა. წევრებიც გარდაიცვალნენ. ბევრი წარმატება გვქონდა. სასიამოვნოა იმ დღეების გახსენება". _ გვითხრა ბატონმა ნიკოლოზმა.

ის, რომ შემოქმედს დრო ვერაფერს აკლებს, ამის მაგალითი ბატონი ჟორა კეშელავაა. "იგი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნებაა: მღერის, უკრავს და ბრწყინვალედ ცეკვავს. დამთავრებული აქვს თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი, მუშაობდა რაიონის სკოლებში. იყო კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადის ხელმძღვანელი, მხატვრული თვითშემოქმედებითი კოლექტივების დათვალიერების, რესპუბლიკური ოლიმპიადებისა და ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი". _ ასე წარუდგინეს ღონისძიების მონაწილეებს ბატონი ჟორა.

ბევრი რამ მოიგონა ქორეოგრაფმა: ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მათი გამოსვლა, თუ როგორ შესთავაზეს, რაიმე ახალი ცეკვა დაედგა და მაყურებელმაც როგორ კარგად მიიღო მისი ცეკვა "ახალგაზრდული"; როგორ დაიმსახურა სპეციალისტების ყურადღება და შექება; როგორ უგზავნიდა მაშინდელი კულტურის განყოფილების გამგე, საქმისათვის თავგადადებული ჯულიეტა გოგავას ახალგაზრდებს ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის. ასე მოხვდა მასთან ანსამბლში ქალბატონი მზია ჩიხლაძე. იუმორიც გაურია თავის გამოსვლაში ბატონმა ჟორამ და საცეკვაოდაც გაშალა ხელი "ათინათის" მიერ შესრულებულ "ცანგალა და გოგონაზე", ქალბატონი მზიაც აიყოლა და შეხვედრა ამ სპონტანურმა ნომერმა კიდევ უფრო ამაღელვებელი გახადა.

მოგონებები ქალბატონ მზიასაც დაუგროვდა. თბილისის პუშკინის სახელობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტმა და ამავე ინსტიტუტის ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრმა, როგორ მოიარა ცეკვით საქართველოსა და რუსეთის ქალაქები. სამტრედიაში ჩამოსვლის შემდეგ როგორ ჩაერთო რაიონის კულტურულ ცხოვრებაში და ბიბლიოთეკარის პროფესიას როგორ უთავსებდა კულტურის სახლთან არსებული ცეკვის ანსამბლის სოლისტობას. მერე იყო თეატრი და 60-მდე შესრულებული როლი. ისეთ დიდი მსახიობების პარტნიორობა, როგორებიც ვერიკო ანჯაფარიძე და ეროსი მანჯგალაძე იყვნენ.

მოგონებები აიშალა და მზია ჩიხლაძემ იმ ლამაზი წარსულიდან ბევრი სამტრედიელი ხელოვანი მოიგონა: მზია გაგიშვილი, იური გვაზავა, ტარიელ ხაჟალია, ნორმან რურუა, მურმან ბერულავა, მიშა რამინაშვილი, თამარ მანჯგალაძე, დადუ ჩიგოგიძე და გულნარა ჩაჩუა, რომლებთანაც ცეკვა "სამაიას" ასრულებდა.

ღონისძიებაში მონაწილეობა ვერ მიიღო, თუმცა, ქალბატონ ციალა აბზიანიძის მისამართით თბილი სიტყვები არ დაუშურებიათ მის მიერ განვლილი საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრების გამო. მრავალი კონკურსის ლაურეატის, სუხიშვილების ანსამბლის ყოფილი მოცეკვავის, სახელოვანი მუსიკალური ოჯახის წარმომადგენლის სახელს უკავშირდება გურამ სიხარულიძესთან, აღიარებულ ქორეოგრაფთან ერთად 1972 წელს ქორეოგრაფიული სტუდიის, "იმერის" დაარსება, რომლის თავმჯდომარეც ბატონი ოთარ შანიძე იყო.





ნათელა დევიძისა და მზია ჯინჭველაშვილის _ მომღერალისა და კომპოზიტორის დუეტის გარეშე წლების განმავლობაში არც ერთ ღონისძიებას არ ჩაუვლია სამტრედიაში. ორი ნიჭიერი მომღერალი _ დაახასიათა გულიკო ცინცაძემ ისინი და მათი მონაწილეობით 1986 წლის ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრაც გააცოცხლა: "კლუბ ფაზისის" მეოთხე რაიონული შეკრება. აქ არიან სამტრედიის წარმოების ხელმძღვანელები, სკოლების დირექტორები, განათლებისა და კულტურის დარგის მუშაკები, სტუმრები თბილისდან: საქართველოს ისტორიისა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, პროფესორები: "ოთარ ლორთქიფანიძე, პარმენ ზაქარაია, თენგიზ პაპუაშვილი, ლევან ფრუიძე, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თანამშრომლები ნელი ქველიძე და გივი მღებრიშვილი და სხვები. სიმღერა მათ პატივსაცემად სრულდება. გამოდის ორი მშვენიერი ქალბატონი და მღერის რომანსს პიანინოს თანხლებით. დარბაზი სულგანაბული უსმენს. სიმღერის დასრულების შემდეგ სცენიდან გასაშვებად არ ეთმობათ ისინი. კითხულობენ, თუ საიდან იყვნენ მოწვეულები. მადლობა მათ იმ ლამაზი წუთებისათვის!".



იმ დღეს ანსამბლი "ათინათი" თავისი სიმღერებით არათუ აფორმებდა ღონისძიებას, საპატიო სტუმარიც იყო. ჯუნა გიგუაშვილმა მაყურებელს მისი დაარსების ისტორია შეახსენა. თუ როგორ შექმნა 1990 წელს კლუბებისა და ბიბლიოთეკების მეთოდისტმა ციალა სტურუამ ქალთა ფოლკლორული ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელად იური შანიძე დაინიშნა. როგორ შეწყვიტა არსებობა 1996 წელს და რამდენიმე ხანში სიმღერის სიყვარულით ისევ როგორ გაერთიანდნენ ეს ქალბატონები. ამჯერად ფოლკლორული ანსამბლი "ათინათის" სახელწოდებით აგრძელებს სასიმღერო კარიერას. მათი მრავალფეროვანი რეპერტუარიდან მარინა ვარდანიძის, დალი დავითაიას, ნათელა ჯიმშელეიშვილის, ციალა სტურუას, ნანა ჭეიშვილისა, ლია რუსიას, მაყვალა ტკაცირიას, ჟუჟუნა ნიკურაძისა და მერი ტკაცირიას მიერ შესრულებულმა სიმღერებმა ამჯერადაც მოხიბლეს მსმენელი.



ჩვენი მუზეუმის მეგობრები _ ასე უწოდეს ალექსანდრე ლეჟავასა და ალმირი არველაძეს. როგორც აღინიშნა, სწორედ მათ მოიძიეს, აღადგინეს და დისკზე გადაიტანეს "სიმღერა სამტრედიაზე".

ალმირი ჩვენი ღონისძიების უცვლელი მონაწილეაო, დასძინეს. მის კომპეტენტურობასაც გაუსვეს ხაზი. მუსიკალური ინსტრუმენტების მდიდარი კოლექცია რომ გვაქვს, ამ ადამიანის დამსახურებაცააო. ჯერ კიდევ ბავშვობიდან მღეროდა იგი სკოლის გუნდში, შემდეგ ბათუმის ფილარმონიის ოპერეტის ჯგუფში, ასევე სამტრედიის ვაჟთა გუნდში. მონაწილეობდა სპექტაკლებში.

"საოცარია 15 საუკუნის სოფელი ტოლები", _ ითქვა და ის ადამიანები გაიხსენეს, თავიანთი ნიჭიერებით საოცრებად რომ აქციეს იგი. "აქედანაა წარმოშობით საქვეყნოდ განთქმული ანსამბლის, "გორდელას" შემქმნელი გომარ სიხარულიძე, კომპოზიტორი და პროფესორი; ანსამბლ "კოლხეთის დამაარსებელი, უამრავი ჯილდოსა და პრიზის მფლობელი, თბილისის საპატიო მოქალაქე გივი შანიძე, იური მეფარიშვილი _ ქუთაისის ფოლკლორული ანსამბლის, "გელათის", შემდეგ კი "იმერის" სამხატვრო ხელმძღვანელი, ამჟამად ინტეგრირებული ანსამბლის "ლებანის" ხელმძღვანელი, მსოფლიო ფოლკლორული ფესტივალის 14 გზის გრანპრის მფლობელი, დამსახურებული პედაგოგი, ოქროს მედლის კავალერი. გიორგი სიხარულიძე, ცნობილი ლოტბარი და საოპერო მომღერალი; მარიამ მდინარაძე, ქართული ხალხური სიმღერისა და ხალხურ ინსტრუმენტებზე უზადო შემსრულებელი". გაიხსენეს მამია კეშელავა _ ტოლების სკოლის ანსამბლის ხელმძღვანელი, ხაზი გაუსვეს იური შანიძის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის 30 წლიან დირექტორობას. აღნიშნეს, თუ რა დიდი წვლილი შეაქვს სამტრედიის მუნიციპალურ ცხოვრებაში ზურაბ მეფარიშვილსა და მის ოჯახს. ამჯერად სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ "სამტრედიას" ხელმძღვანელს. ხალხური სიმღერების შემსრულებელს, მრავალი პრიზისა და ჯილდოს მფლობელს ბადრი კვანტალიანს.

"შეხვედრას წარსულთან " თან სდევდა "ათინათისა" და "სამტრედიის" მიერ შესრულებული სიმღერები.

აპლოდისმენტების გარეშე არც ახლა ჩაუვლია ანსამბლ "ფანტაზიას" ხელმძღვანელის, ქრისტინე ზაქრაძისა და მისი მოსწავლეების მიერ შესრულებულ ცეკვა "მუხამბაზს".

"ემოციებით დატვირთული ვარ". მადლობა, რომ ასეთი შესანიშნავი ღონისძიება აჩუქეთ სამტრედიას. _ უთხრა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა. _ ამბობენ, წარსულს ქვებს თუ ესვრი, მომავალი ზარბაზნებს დაგიშენსო. მე მგონი, ეს ქართველებს არასოდეს მოუწევთ, რადგან წარსულის პატივისცემა იციან. ეს საღამოც პატივისცემის საღამოდ ჩატარდა, ისიც წარსულად იქცევა. თუმცა, საბედნიეროდ, წარსულისგან განსხვავებით დღევანდელი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, დაუფიქსირებელი არ დარჩეს არც ერთი ღონისძიება.

იქნებ, გეფიქრათ, ქალბატონო გულიკო, მსგავსი შეხვედრები, სხვა სფეროს წარმომადგენლებისთვისაც მოგეწყოთ. ასეთი ღონისძიებები არა მარტო ამ ადამიანებისთვისაა აუცილებელი, ახალგაზრდებისთვისაც საჭიროა".

ემოციებით სავსე ღონისძიებისთვის ქალბატონ გულიკოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ტატა გოგუაძემაც გადაუხადა მადლობა. საპატიო სტუმრებს კი სიტყვით მიმართა: "ქედს ვიხრი თქვენს წინაშე, ასე რომ ალამაზებთ ჩვენი რაიონის ცხოვრებას, იყავით მხნედ და ჯანმრთელად!"

ქალბატონი ნათელა გელეიშვილის სახელობით სამტრედიაზე შექმნილი სიმღერების კრებულები ანსამბლის ხელმძღვანელებს გადაეცათ, ხოლო დისკები, რომელზეც "სიმღერა სამტრედიაზეა" ჩაწერილი და ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ გამოცემული ჟურნალი "სამტრედიის მატიანე" საპატიო სტუმრებს მუზეუმის ხელმძღვანელობამ უსახსოვრა.

ღონისძიების ერთგვარი კულმინაცია დარბაზში "იმერული მგზავრულის" სიმღერითა და ყვავილებით "ლილეს" (ხელმძღვანელი მადონა კოხრეიძე) და "ჩანგის" (ხელმძღვანელი მერი ტკაცირია) პატარა მომღერლების შემოსვლა იყო. მომავლის იმედად ჟღერდა მათი ხმები. უმცროსმა თაობამ რამდენიმე სხვა ხალხური სიმღერებითა და ცეკვითაც მოხიბლეს უფროსები.

რადგან დღეს აქ ყველაფერი სამტრედიულია, ლოგიკური იქნება, შეხვედრა აკაკი შანიძის ტექსტზე შექმნილი სიმღერით "გვიმღერია, კვლავაც ვიმღერთ" დასრულდესო", _ ქალბატონმა გულიკომ. ზურაბ მეფარიშვილის, იური შანიძის, ბადრი კვანტალიანის, ნიკოლოზ აბულაძის სიმღერამ ააგუგუნა დარბაზი...

# ახაა ადგილი, ეპოქას გაუძლო

თეა ბაბუნაშვილი

## ოლიმპიზმის საერთაშორისო დღე დიდ ჯიხაიშში უნდა აღნიშნულიყო!



***დიახ, დიდი ჯიხაიში ერთადერთი ადგილია იმერეთში, იქამდე, არა მხოლოდ იმერეთში, მთელ საქართველოშიც კი, საერთაშორისო ოლიმპიური დღის აღნიშვნის პატივს რომ იმსახურებს. ქართული სპორტის პიონერი, პირველი ქართველი ალპინისტი და ტანმოვარჯიშე გიორგი ნიკოლაძე, იმერელი, მეტადრე, სამტრედიის რაიონულ საზღვრებში მოქცეული დიდი ჯიხაიშის მკვიდრია. მის მიერ სწორედ აქ მოეწყო პირველი ოლიმპიური გარბენი. ნიკო ნიკოლაძის ვაჟი, გიორგი, მამის მსგავსად ის ფენომენი გახლდათ, რომლის სახელთანაც "პირველი ქართული" მრავალგზის არის დაკავშირებული.***

***უკვე მესამედ, ერთწლიანი ვარდნის შემდეგ, დიდი ჯიხაიში ოლიმპიზმის საერთაშორისო დღეს აღნიშნავდა საპატიო სტუმრების მასპინძლობით. სპორტული ტრადიციების გაგრძელებად ამ სოფელს ფრენბურთელ გოგონათა ნაკრების, "ჯიკოს" წარმატებებიც ეყოფა. ოლიმპიზმის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად აგრარული კოლეჯის სპორტულ დარბაზში კალათბურთის მატჩმა გოგონათა შორის, კოლეჯის ტერიტორიის მიმდებარედ კი ოლიმპიურმა გარბენმა სტარტი დილიდანვე აიღო, შემდეგ ნიკოლაძისეულ ფუძეზე სხვა სპორტული ღონისძიებებით გაგრძელდა.***

დღე სანახაობრივად დატვირთული იყო. ასწლოვანი ხეივნის ჩეროში სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები, ამავე სკოლის პედაგოგის, თამაზ ნუცუბიძის, რეჟისორობით ინსცენირებებად აცოცხლებდნენ ეპიზოდებს იმ ფუძე-კარის სახელოვან მასპინძელთა ცხოვრებიდან. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ანსამბლები: "ფანტაზია", "ლილე", "ჩანგი", "ალილო" მუსიკალური ნომრებით ამახსოვრებდნენ თავს დამსწრეთ.

ოლიმპიური შეჯიბრებების ფორმატით მოწყობილი შეჯიბრებების გამარჯვებულები საპატიო სტუმრებმა სწორედ ამ სცენაზე დააჯილდოვეს.

საპატიო სტუმრები კი მრავლად იყვნენ. როგორც განაცხადა, უკვე სტუმართა რიცხვში აღარ მოიხსენება, რადგან შინაურად გრძნობს თავს წინაპართა კერაზე, პარლამენტარი სალომე ზურაბიშვილი. ამიტომ, "დღეს ჩემი განცდები აღარ არის ისეთი, როგორიც პირველ ხანებში აქ სტუმრობისას იყო. იმ ძველი განცდიდან სიამაყე, რა თქმა უნდა, დარჩა, ნიკოლაძეების ნათესაობას რომ უნდა სდევდეს. რაც შეეხება დღევანდელ ზეიმს, მას მართლაც უნდა აღნიშნავდნენ ამ მამულში გიორგი ნიკოლაძის დამსახურების გამო."

იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე რეზო რობაქიძე ხაზს უსვამდა, რომ "დიდ ჯიხაიშში ყველაზე მიზანშეწონილია ამ დღის აღნიშვნა. სწორედ გიორგი ნიკოლაძის დამსახურებით ჩაერთო საქართველო ამ მარათონში. წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტები იმერეთს ოლიმპიზმის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე მასპინძლობენ. და როგორც ხედავთ, ღირსეულადაც მასპინძლობენ!"

იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის გამგეობის წევრი, იმერეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მამუკა ჩიხლაძე აღნიშნავდა, რომ დიდ ჯიხაიშში გამართული ღონისძიება, ადგილობრივი გამგეობისა და სოფლის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით რომ ეწყობა, ნაწილია იმ დიდი მარათონისა, ქვეყნის მასშტაბით რომ ტარდება. და ეს დამსახურებულად, რადგან გიორგი ნიკოლაძე წამომწყები და ინიციატორია ქართული სპორტისთვის საჭირბოროტო არაერთი საქმისა. მის სახელს უკავშირდება სპორტის ორი სახეობის, ალპინიზმისა და ტანვარჯიშის დაფუძნება საქართველოში. პირველი ოლიმპიური გარბენიც სწორედ მის მიერ იქნა ორგანიზებული.



მერაბ კვიცარიძე, ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის ცენტრის დირექტორი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ნიკოლაძიანთ ეზოს სილამაზემ ლექსის კითხვის ხასიათზე მოიყვანა. პოეტმა, ლამაზი სტრიქონების ავტორმა, რამდენიმე ალმაფრთოვანებელი ტაეპიც წაიკითხა საკუთარი შემოქმედებიდან და იმ ხუთი რგოლის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე ისაუბრა, ოლიმპიური ემბლემა რომ შედგება. პროფესიით ექიმმა, ადამიანის ცხოვრებაში სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანიშნულებას გაუსვა ხაზი. სცენიდან კი განაცხადა: "ნიკოლაძეების გვარმა ეპოქას გაუძლო! და ეს არ არის ადვილი საქმე, ისევე როგორც პაოლო იაშვილი, სახლიდან გავიდა ერთ ჩვეულებრივ დილას, ნადირობის მოყვარულმა მხოლოდ საკუთარი თოფი წაიღო თან, საყვარელი მონადირე ძაღლი არ წაიყვანა. აღარ დაბრუნებულა პაოლო, იმ დღეს იგი დააპატიმრეს და დახვრიტეს. ეს 22 ივნისს მოხდა. საკუთარი ცხოვრებით მან ესროლა ეპოქას და მოარტყა საკუთარ თავს. "ცისფერყანწელთა" ქალაქიდან ვარ და დღეს, აქ, ეს უნდა მეთქვა! მე ისტორიაში არ დავრჩები არც როგორც ექიმი და არც როგორც პოეტი, დავრჩები კაცი, რომელმაც ოლიმპიური ცეცხლი სასაფლაოზე მიიტანა. ეს, ალბათ, ერთადერთი შემთხვევაა მსოფლიოში. შარშან, როცა ქუთაისში ოლიმპიური ცეცხლი შემოვიდა, იგი მესხიშვილის თეატრის შენობამდე მხოლოდ თეიმურაზ აფხაზავამ მოიტანა, რადგან 13 ივნისს უდიდესი ტრაგედია დატრიალდა ჩვენს დედაქალაქში. მე, ჩემს მიერ დამზადებული ორი ჩირაღდნით, ოლიმპიური ცეცხლი, მათ შვილებთან ერთად, ჩემი მეგობრების, ორი ღირსეული ქუთაისელის საფლავზე ავიტანე. და კიდევ, ისტორიაში "ვეფხისტყაოსანი" დამტოვებს, რადგან მისი გადაწერის პროექტს ვუდგავარ სათავეში და დღეს ამ საქმეს ქალბატონი სალომეც გააკეთებს, იგი პროექტში მონაწილეობას მიიღებს."



ვიცე გუბერნატორი იოსებ ხახალეიშვილი იმერეთის გუბერნიის სახელით ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობას უხდიდა ამ მასშტაბური დღისთვის: "სიმბოლურია დიდ ჯიხაიშში ამ თარიღის აღნიშვნა, სიმბოლური და დამსახურებული. მადლობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ხელშეწყობისთვის, იმერეთის ოლიმპიურ კომიტეტს კი _ იდეისთვის."

"მე ნიკო ნიკოლაძეს საქართველოს ბიზნეს-პატრიარქს ვუწოდებ, ამიტომ ვთვლი, მისი სახლ-მუზეუმის პოპულარიზაცია, ისევე როგორც მისი და მისი შთამომავლობის საქმიანობისა, აუცილებელი საქმეა." _ ამ სიტყვების ავტორი, პარლამენტარი, სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი გია მიქელაძე ჯერ კიდევ 1991 წლიდან, სამოქალაქო ომის განუკითხაობიდან მოყოლებული დახმარებას უწევს ამ სახლ-მუზეუმს. იმ დღეს იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ "ასეთი ღონისძიებები სულ უფრო ხშირად უნდა ჩატარდეს ამ სახლ-მიზეუმში, რადგან არ არსებობს საკითხი და სფერო საქართველოს სინამდვილეში, ნიკო ნიკოლაძე სასიკეთოდ, წიგნიერად რომ არ შეხებოდა." მასთან ერთად ამ დღის სამტრედიაში ჩატარების მნიშვნელობაზე მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერი ფოცხვერიაც საუბრობდა: "აუცილებელიც იყო ამ დღის დიდ ჯიხაიშში აღნიშვნა. მადლობა ამისთვის მის ორგანიზატორებს."

სახლ-მუზეუმის დირექტორმა ლია ბიბილეიშვილმა დაადასტურა, ჯერ ისევ მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს კულტურის სამინისტროსთან ერთად "ქართუ ბანკი" რომ ახორციელებს.

ნარდსა და ჭადრაკში შეჯიბრებასთან ერთად სახლ-მუზეუმის ეზოში ნუმიზმატიკით დაინტერესებულთათვისაც მოეწყოთ გამოფენა.

ნუმიზმატიკაში მსოფლიოში პირველი ოლიმპიური გამოფენის ჩატარების ინიციატორმა, რომელიც ამ საქმიანობით უკვე 45-48 წელია დაინტერესებულია და მასშტაბურ კოლექციასაც ფლობს, განაცხადა: "ფული წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკას, ჩვ. წ. აღ.-მდე მე-4 საუკუნეში საქართველოს ფულის თავისი ერთეული ჰქონდა, "კოლხური თეთრი". ეს ნიშნავს, საიდან მოდის ჩვენი ისტორია და ცივილიზაცია. ეს იმ დროისთვის ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს. მე 167 სახელმწიფოს ფულის ერთეული მაქვს შეგროვილი, როგორც ქაღალდის, ისე მონეტები." გამოფენით ბევრი დაინტერესდა.



მაისურები ოლიმპიური ნიშნით მოძალებოდა ნიკო-ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის ეზოს. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის ზეობა საუკუნეზე მეტია აქაურობის ნიშაა. ოლიმპიის საერთაშორისო დღე დიდ ჯიხაიშში ნიკოლაძეებისთვის შესაფერი განსაკუთრებულობით აღინიშნა.

# ეროვნული ბიბლიოთეკის საჩუქარი მეორე საჯარო სკოლას

ნათია ნაცვლიშვილი

***პროექტ "ეკვილიბრიუმის" ფარგლებში სამტრედიას საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები უკვე მესამედ ესტუმრნენ, შევახსენებთ, პროექტის მიზანს ცენტრსა და რეგიონს შორის კულტურული წონასწორობის დაცვა წარმოადგენს. ამ მიზნით უკვე რამდენჯერმე სამტრედიაში წიგნები ჩამოიტანეს. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე ამჯერად მეორე საჯარო სკოლას სტუმრობდა. ამ სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სამასამდე წიგნით გამდიდრდა, მათ შორის არის როგორც ახალი, ისე ძველი გამოცემები.***

"სამტრედიის მაცნე "ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, მწერალ გიორგი კეკელიძეს გაესაუბრა: _ უკვე მესამედ ვსტუმრობთ სამტრედიის მუნიციპალიტეტს, უახლოეს ხანში ვაპირებთ, ვეწვიოთ სამტრედიის პირველ საქალაქო ბიბლიოთეკას, სადაც მივიტანთ დაპირებულ კომპიუტერს და ასევე საბავშვო წიგნებს, დღეს კი წიგნები გადავეცით მეორე საჯარო სკოლას, აქ ძირითადად არის მხატვრული ლიტერატურა და ახალი გამოცემები, ყველაფერი ის, რაც სჭირდებათ სკოლის მოსწავლეებს.



_ თავად თქვენ რამდენი წიგნის ავტორი ხართ? ბოლოს ზღაპრებიც გამოეცით...

_ ათის, მალე გამოვცემ ჩემი ლექსების კრებულს სახელწოდებით "წერილები ღმერთს და მამაჩემს".

ეროვნული ბიბლიოთეკის მოწვეული სპეციალისტი, ფრიდონ საყვარელიძე საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში "პოლიტიკურ იდეოლოგიას" კითხულობს. მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა: "წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატი ვარ, წიგნებთან ყოველთვის მქონდა შეხება, ახლაც, რა თქმა უნდა, მაქვს, ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს არის შერწყმული სკოლა და შევიტყვეთ, რომ ილორის სკოლას ბიბლიოთეკა წლების წინ დაეწვა, გავითვალისწინეთ ეს და პროექტ "ეკვილიბრიუმის" ფარგლებში ბიბლიოთეკას წიგნებს გადავცემთ, ამ ტექნოლოგიზაციის ეპოქაში ახალგაზრდები მოსწყდნენ წიგნს, მაგრამ უამრავი ახალგაზრდა მოდის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ეს მარწმუნებს, რომ წიგნს უბრუნდებიან. ასევე, მუნიციპალიტეტების ბიბლიოთეკებში მუდამ ხალხმრავლობაა და ეს მახარებს, ძალიან განათლებული ახალი თაობა მოდის".








მეორე საჯარო სკოლის და მასთან შერწყმული ილორის სკოლის დირექტორი, თეა კარტოზია: "მეორე სკოლასთან შერწყმულია ყოფილი მეხუთე სკოლა, სადაც ახლა, დაახლოებით, 35 მოსწავლეა, მადლიერება გვსურს გამოვთქვათ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მიმართ, სასიხარულოა, რომ ჩვენს სკოლას წიგნები უსახსოვრეს, მადლობა ბატონ გიორგის".

სტუმრები ასევე ეწვივნენ მეორე სკოლასთან შერწყმულ ილორის სკოლას, მასპინძლობა მათ დაწყებითების პედაგოგმა, ქეთო ქიმუცაძემ და მეორე სკოლის ჭადრაკის პედაგოგმა გაუწიეს. სკოლის შენობის დათვალიერების შემდეგ ილორში მშენებარე ტაძარი მოინახულეს. სტუმრობის ბოლო პუნქტი "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იყო. ამიერიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩვენი მუნიციპალური გაზეთიც დაიდებს ბინას.







# ახალი სივრცეების დასალაშქრად...

***მეოთხე ბაგა-ბაღში წლევანდელ გამოშვებას აცილებენ. სასკოლო მზაობის ჯგუფი, რომელიც პედაგოგმა მარინა კაკაბაძემ მოამზადა, ბაღის კედლებს ტოვებს და ახალი სივრცეების დასალაშქრად ემზადება... დამშვიდობების წუთები მშობლებისა და პედაგოგებისთვის ცრემლიანი აღმოჩნდა. ცრემლი უნამავთ თვალებს თვალხატულა პატარებსაც, არ ემეტებათ დასათმობად დედობრივთან მიახლოვებული აღმზრდელების სიყვარული...***

ედლებთან დამშვიდობების მერე პატარებმა საზეიმო საღამო დარბაზ "ბორა-ბორაში" გამართეს. რა თქმა უნდა, მოლოდინი გაგვიმართლდა მშობლებს, ჩვენი შვილები დატვირთული მხატვრული პროგრამით წარსდგნენ მაყურებელთა წინაშე. სხვაგვარ საღამოს არც ველოდით საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული, ენერგიული და შემოქმედებითი ქალბატონების, მმართველ ნანა დუნდუასა და პედაგოგ მარინა კაკაბაძისაგან. ეს პატარები მსოფლიო მოქალაქეებად იზრდებიან, ასე რომ, მათი თვალსაწიერი ფართოა, თანაბარი ცეცხლოვანებით ასრულებენ როგორც

"მთიულურსა" და "აჭარულს", ისე "როკენროლს", " ამერიკანოს" თუ ბოშურ ცეკვას. ჯერ პოდიუმი მოაწყვეს გოგო-ბიჭებმა და ხალიჩაზე გაიარეს. მერე "სიყვარულის ხეივანში" გავლის პატივი დედიკოებს ხვდათ წილად, პედაგოგების მსგავსად სიყვარული მათაც ხმამაღლა გამოუცხადეს და ვარდებითაც დაასაჩუქრეს. ნანა დუნდუა სიმღერით მიესალმა პატარებს და გზა დაულოცა. მერე ლამაზ ლექსს ლამაზი სიმღერა მოჰყვა, "მთიულური", "აჭარული", "ქალაქური", "რაჭული"... ცეკვა ცეკვას ენაცვლებოდა... ანდრია გრიბენიუკმა და ბარბარე ჭაიამ ესპანური შეასრულეს, ირინა სილაგაძემ _ "ლეზგინკა", ანასტასია ხაბეიშვილმა ინდური ცეკვით მართლაც რომ ფურორი მოახდინა. ემოციები ვერ დაფარა ნანა დუნდუამ და პატარა მოცეკვავე გულში ჩაიკრა. ირაკლი კიკვაძემ წარმოადგინა ნომერი მხატვრულ აკრობატიკაში. მერე ჯაჭვის პერანგიც მოირგო და პატრიოტული ლექსიც შემართებით წაიკითხა. მხატვრული ნომრებიც უხვად წარმოადგინეს. მათ შორის იყო აკვანი, აღმზრდელმა ლიკა შუბლაძემ ქართული კაბა-ქათიბი მოირგო და ჩვენი ისტორიის გაუხუნარი ძეგლი_ აკვანი სცენაზე გამოიტანა. როგორც მარინა კაკაბაძემ განაცხადა, ამ ნომრის სცენაზე წარმოდგენისკენ მას "სამტრედიის მაცნეში" დაბეჭდილმა წერილმა უბიძგა, სადაც აკვნის ბუნკერში ჩაგდების ფაქტი იყო გაპროტესტებული. მამა და დათვიც მოვიდნენ და პატარები გაახალისეს, ასევე იზრუნეს მათი განწყობის ამაღლებისათვის მხიარულმა ჯამბაზებმა. ფინალური ფეიერვერკის გარეშე, აბა, საღამო როგორ ჩაივლიდა... წერილის დასასრულს დავძენ, მშობლის ამპლუაში ვემშვიდობები მეოთხე ბაგა-ბაღს, მაგრამ ურთიერთობას ჟურნალისტის ამპლუაში ვაგრძელებ. დამშვიდობებისას კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა ყველა აღმზრდელსა და თანაშემწეს, ვინც ჩემი შვილების ჯანმრთელობის სადარაჯოზე დაუზარელად იდგა, ვისაც მათთვის ენერგია არ დაუშურებია.

***ნათია ნაცვლიშვილი***

გალერეა

# არც ისე ბევრია 80 წელი

ლევან გაბეჩავა

წლების წინ მაშინ გავიცანი, როცა აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსის მოადგილედ მუშაობდა და შესვენებებზე, ჭადრაკის სათამაშოდ ჩემს უფროს კოლეგებთან ოთარ ნაფეტვარიძესა და მიშა ნიკოლეიშვილთან გამოდიოდა.

ერთ სართულზე, ერთ დერეფანში იყო განთავსებული მაშინ აგროსამრეწველო გაერთიანება და "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია. ენაწყლიანი მოსაუბრე, საინტერესო ბიოგრაფიის კაცი.

კულაშის ზოოვეტერანული ტექნიკუმში დაიწყო მისი შრომითი ბიოგრაფია, მერე იყო რაიონის ახალგაზრდობის ერთ-ერთი ლიდერი, ერთ-ერთი პირველი იყო ბატონი გურამი მათ შორის, ვინც მაშინ საერთო-სახალხო პატრიოტულ მოძრაობას აუბა მხარი და ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად შექმნილ მრავალათასიან ლაშქარს შეუერთდა.

სხვადასხვა წლებში ბატონი გურამ ივანიაძე გახლდათ მეურნეობის დირექტორი, სახელმწიფო ვაჭრობის რაიონული განყოფილების მმართველი, მეცხოველეობის დარგში რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსის მოადგილე და ა. შ. თუმცა, ამჯერად სულაც არ შეადგენს ჩვენს მიზანს ქრონოლოგიურად აღვწეროთ ბატონი გურამის მიერ ღირსეულად განვლილი გზა ცხოვრებისა.

დღესაც მრავლად არიან საქართველოს ამერ-იმერში უკვე სიჭარმაგეში შესული ადამიანები გუშინდელივით რომ ახსოვთ კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში სწავლის პერიოდი და მაშინ ახალგაზრდა პედაგოგი, მათთვის საყვარელი გურამ მასწავლებელი.

ვისაც თუნდაც ერთხელ უსაუბრია ბატონ გურამთან, უმალ მიხვდება, თუ რაოდენ განათლებული კაცია იგი, ქვეყნის მაჯისცემაზე მიყურადებულს პატიოსანი, ალალი შრომა მიაჩნდა და მიაჩნია ქვეყნის გადარჩენის უმთავრეს პირობად.

წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რედაქცია და აგროსამრეწველო გაერთიანება ერთ დერეფანში იყო განთავსებული-თქო, ტკბილ მოგონებად შემორჩა მეხსიერებას ბატონ გურამთან ურთიერთობის წლები.

გვახსოვს როგორ ანებივრებდა იგი რედაქციის ქალბატონებს ხშირად საკუთარი ხელით გამოყვანილი ვარდებით.

დიდი ხანია ხანდაზმულობის წლებს ოჯახურ გარემოში ატარებს. ხარობს, დიახაც, ღირსეული ოჯახით ჭარმაგი კაცი, პირნათლად რომ მოიხადა მოქალაქეობრივი და მამულიშვილური ვალი სამშობლოს წინაშე.

ამ დღეებში იუბილარია ბატონი გურამი, 80 წლისა გახდა იგი.

პატივისცემით, გულწრფელად ვულოცავთ სახელოვან იუბილეს და ულევ სიხარულს, ბედნიერ დღეთა სიუხვეს ვუსურვებთ კეთილისმსურველთა გასახარად.

მრავალჟამიერ, ბატონო გურამ!



## მსოფლიოში პირველი საკეისრო კვეთა 1337 წელს ჩატარდა



პირველი საკაესრო კვეთა, რომლის შემდეგაც დედაც და ბავშვიც გადარჩა, დიდი ალბათობით, ჩატარდა პრაღაში 1337 წელს. საკეისრო კვეთის ოპერაციები ადრეც ტარდებოდა, თუმცა ისინი ხშირად დედის სიკვდილით მთავრდებოდა. ეს დაკავშირებული იყო სისხლის დიდ დანაკარგთან, ტკივილთან, სტრესტთან ან ჭრილობის ინფიცირებასთან. კიდევ ერთი გავრცელებული მოვლენაა _ ბავშვის ამოყვანა ბუნებრივი მშობიარობისას გარდაცვლილი დედის სხეულიდან.

ანტონინ პარიზეკმა, ჩეხეთის კარლოვის უნივერსიტეტიდან, დაადგინა, რომ 1337 წლის თებერვალში სამყაროს მოევლინა ვენცელ I, ლუქსემბურგის ჰერცოგი. ის დაიბადა გრაფ იოან ლუქსემბურგელის და მისი ცოლის ბეატრის ბურბონის ოჯახში.

მეცნიერებმა მიაკვლიეს საარქივო დოკუმენტებს, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ 17 წლის ბეატრისს მძიმე მშობიარობა ჰქონდა. ექიმებმა, რომლებიც მშობიარობას იღებდნენ, გადაწყვიტეს, რომ ის გარდაიცვალა და ბაშვი უნდა ამოეყვანათ და მოენათლათ.

ბეატრისი ტკივილისაგან გონს მოვიდა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ შოკმა, რომელიც მან განიცადა, დაიცვა ბეატრისი ძლიერი სისხლდენისგან და მან გადაარჩინა. ის გამოჯანმრთელდა ოპერაციის შემდეგ და კიდევ 46 წელი იცოცხლა. ბეატრისმა ვენცელ პირველის გარდაცვალებიდან კიდევ 16 დღე იცოცხლა. ორივე მათგანი 1383 წლის დეკემბერში გარდაიცვალა.

ადრე თვლიდნენ, რომ წარმატებული საკეისრო შვეიცარიაში 1500 წელს გაკეთდა. იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ რელიგიურ ტექსში ისეთ ოპერაციებზეა საუბარი, რომლებიც ჩვენს ერამდე მეორე საუკუნით თარიღდება, პარიზეკი და სხვა მკვლევარები სკეპტიკურად არიან განწყობილნი, რასაც იმით ხსნიან, რომ ოპერაციის ჩატარების ფაქტის დოკუმენტური დადასტურება არ არის მიკვლეული.

**www.vipmed.ge**

## ტარიელ კიზივაძე



ძნელია, მოსაგონარი დაწერო კაცზე, რომელიც სულ ახლახან ჩვენს გვერდით იყო, იზიარებდა საერთო ტკივილსა და სიხარულს.

მოულოდნელი იყო ყევლასათვის ჯან-ღონით სავსე კაცის უეცარი გარდაცვალება, არადა, რამდენი სიკეთის მოტანა შეეძლო კიდევ.

ლამაზად იცხოვრა ტარიელმა, სოფლისა და თანასოფლელთა სატკივარი გულთან მიჰქონდა ყოველთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა სოფლის თავკაცი გახლდათ და როცა თანასოფლელთა რჩეული იყო მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სადაც ინფრასტრუქტურის კომისიას ხელმძღვანელობდა.

ბოლოს ტარიელ კიზივაძე საჭიდაო კლუბ "ფალავანის" სპეციალისტი იყო და მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

ალალ-მართალი, თავმდაბალი, გულისხმიერი მეგობრის ხსოვნა მარად დარჩება მათ მეხსიერებაში, ვინც ტარიელ კიზივაძეს იცნობდა, ვისთანაც სამსახურებრივი თუ პირადი ურთიერთობები ჰქონდა.

ნათელში იყავი, ჩვენო ტარიელ!

*საჭიდაო კლუბი "ფალავანი"*

## ვენერა კაჭახიძე
## მზე ჩასვლის შემდეგაც მნათობად რჩება



სოფელ დიდ ჯიხაიშში, ყაზბეგის უბანში დაიბადა 1929 წელს.

შვილო სადა გვაქვს საშუალება, უნივერსიტეტში რომ გასწავლოთო, უთქვამთ მშობლებს. მთელი ზაფხული ჩაი უკრეფია კაფანდარა ქალიშვილს და ოცნება აუხდენია, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულა ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ეამაყებოდა, აკაკი შანიძე, გიორგი ჯიბლაძე, ნიკო კეცხოველი, ქსენია სიხარულიძე... რომ უკითხავდნენ ლექციებს.

წარჩინებით უნივერსიტეტდამთავრებული ქალიშვილი დმანისის რაიონის სოფელ იაგუბლოს სკოლაში გაუგზავნიათ, იქაური მრავალეროვანი მოსახლეობისათვის მშობლიური ენა რომ ესწავლებია. სამი წელი დაჰყო იქ. მერე კი მშობლიურ დიდ ჯიხაიშს დაუბრუნდა, პასუხისმგებლობით ემსახურა საყვარელ საქმეს _ მომავალი თაობის აღზრდას. წლების მანძილზე იყო ქალბატონი ვენერა კაჭახიძე სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, პირველი კატეგორიის მასწავლებელი სისტემატურად იმაღლებდა ცოდნას, რომელსაც უშურვლად გადასცემდა ახალგაზრდებს. ახალბედა პედაგოგების გზამკვლევი გახლდათ ქალბატონი ვენერა, არც დახმარება ეზარებოდა მათთვის პროფესიული დახელოვნების კუთხით და არც საათების დათმობა. ამიტომაც ჰქონდა განსაკუთრებული ურთიერთობები ყაზბეგის სკოლაში სამუშაოდ მისულ ახალგაზრდა პედაგოგებთან, ოჯახურ ახლობლობაში რომ გადაიზარდა ყოველივე.

პედაგოგიური საბჭოს უცვლელი მდივანი, საგნობრივი მეთოდგაერთიანების თავმჯდომარე, არაერთხელ იყო არჩეული სასოფლო და რიონული საბჭოების დეპუტატად.

უშუალობამ, პრინციპულობამ, ღრმა ერუდიციამ ქალბატონ ვენერას ღირსეული ავტორიტეტი მოუპოვა ასობით აღზრდილის, კოლეგებისა და რაიონის ინტელიგენციას შორის.

ქალბატონებთან ნონა ნაცვლიშვილთან, ვერა კუტალაძესთან და სხვა ღირსეულ პედაგოგებთან ერთად ერთ-ერთი იყო, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ღირსების მედლით რომ დაჯილდოვდა.

საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, თუმცა, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე არ მოჰკლებია ახლობელ ადამიანთა სითბო და მზრუნველობა.

ივლისის ხვატია, სულის მოთქმა სჭირს. ყაზბეგის უბნის სასაფლაოზე ასწლოვან ხეთა ჩრდილში ახალი საფლავი წამოიბორცვა.

ჩვენთვის უძვირფასესი და უსაყვარლესი ადამიანი, ქალბატონი ვენერა კაჭახიძე განისვენებს შიგ.

მარადიული ხსოვნა იქნება თქვენდამი პატივისცემის გამოხატულება ჩვენო დაუვიწყარო ადამიანო.

*გულისტკივილით ლევან გაბეჩავა, მურად გელეიშვილი, შუქრი ურუშაძე ოჯახებით*

---

დიდი ჯიხაიშის ყაზბეგის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქალბატონი

**ვენერა კაჭახიძე**

და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

ძმისშვილი გიორგი ნიშნიანიძე ოჯახით იუწყება ბიძის

**ვახტანგ (დათუნია) ნიშნიანიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.



---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება ღვაწლმოსილი სამტრედიელის, ბატონი

**ვახტანგ ნიშნიანიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ზაზა ადეიშვილს ბიძის ბატონი

**იურის**

გარდაცვალების გამო.

# სამტრედიელი კარატისტი გოგონები კვლავ იმარჯვებენ

2017 წლის 23-24 ივნისს ქ. თბილისში ჩატარდა "საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ფედერაცია. "I. K. O. Matsushima"-ს საერთაშორისო ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში. აზერბაიჯანის, სომეხეთის, ირანის, თურქეთის, უკრაინისა და საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს 18 წლამდე ასაკის კარატისტებთან ერთად ჩემპიონატში სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ. მარიამ გოგიტაური და მანანა მუქერია, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს და 13-16 წლის 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში დაიკავეს პირველი და მეორე ადგილები. ჩემპიონის წოდება და პირველი ადგილი მანანა მუქერიამ მოიპოვა, ხოლო მეორე საპრიზო ადგილი მარიამ გოგიტაურს ხვდა წილად. ნომინაციაში "სწრაფვა გამარჯვებისათვის" _ დიპლომი და თასი მარიამ გოგიტაურს გადაეცა.

მიხეილ ქანთარია



## ედემ ბოლქვაძე ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბის "ფალავანი" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) თავისუფალი სტილით მოჭიდავე ედემ ბოლქვაძემ კიდევ ერთხელ გაახარა თავისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი. ის ახლახან დაბრუნდა გერმანიის ქალაქ დორტმუნდიდან, სადაც 25-28 ივნისს გაიმართა ევროპის პირველობა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. სამტრედიელი სპორტსმენი 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, იგი მესამე ადგილის მფლობელი გახდა.

სპორტსმენს საგულშემატკივროდ თან ახლდნენ საჭიდაო კლუბ "ფალავანის" დირექტორი ირაკლი მელაშვილი და მწვრთნელ-მასწავლებელი ზაზა არქანია, "სამტრედიის მაცნემ" ჩემპიონატიდან დაბრუნებულ ირაკლი მელაშვილს კომენტარი სთხოვა: "ედემი ჩვენი საჭიდაო კლუბის გამორჩეული სპორტსმენია, მისგან წარმატებას ველოდით, იგი ძალიან ახლოს იყო ჩემპიონობასთან, მაგრამ მოწინააღმდეგის სათანადოდ ვერშეფასების გამო, შეხვედრა, რომელსაც ანგარიშით 7:1 იგებდა, დათმო. მან 4 შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა. ვულოცავ ედემს ამ დიდ გამარჯვებას, ასევე მის მწვრთნელებს, ბიძინა მელაშვილსა და ზაზა არქანიას, ედემი ემზადება მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებული ასპარეზობისათვის, რომელიც ფინეთში გაიმართება. ვუსურვებ სპორტსმენს, იქაც ესახელებინოს ქვეყანა და ჩვენი მუნიციპალიტეტი".

ნათია ნაცვლიშვილი






**იყიდება**

ერთოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა.
**მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა №1 (ასბინიანი)**
**ტელ.: 790 58 07 84, 595 75 92 12.**

### ვულოცავთ!

შესანიშნავ ქართველს, ბრწყინვალე ქირურგს, მრავალი ადამიანის იმედს და ნუგეშს, უვერცხლო მკურნალს, სამტრედიის ღირსეულ შვილს, **მერაბ ჯანელიძეს** და წარმატებულ ექიმს, **ირმა ადამიას** ვულოცავთ ლამაზი ქართული ოჯახის შექმნას. მარადიულ სიყვარულსა და შვილთა სიმრავლეს ვუსურვებთ.

"სამტრედიის მაცნე"

### ვულოცავთ!

ქალბატონ მზევინარ ბოჭუას!
ბატონ ბესო მიქაძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. უფალმა გაგაძლიეროთ!

ვეტერანთა რაიონული კავშირი

ლევან ბოჭუას!

გილოცავ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებ!

ბექან გოგია

ანასტასია მეფარიშვილს!

ბებოს სიხარულო, ბებოს თვალისჩინო!

შვიდი წლის წინ სიცოცხლისა და სიყვარულის მანათობელ სხივად შემოდი ჩემს ცხოვრებაში.

შენ უკვე მეორე კლასის მოსწავლე ხარ. გაიზარდე განათლებული, წიგნიერი, ნიჭიერი. იყავი ლაღი, ბედნიერი შენს მშობლებთან ერთად. იხარეთ და იმრავლეთ.

ღმერთი გფარავდეთ!

შენი ნაილი ბებო



რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა